

25 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნება კოლმეურნე გლეხობის დიდი ფორუმი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

22 ნოემბერი შაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის XII-ე წელი

№ 272 (14572)

მატარებლით: თბილისი — მოსკოვი

ყრილობის დელეგატები მოსკოვში გაემგზავრნენ

რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნება ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეთა უდიდესი ფორუმი, რომელიც განიხილავს და მიიღებს სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალ სანიმუშო წესდებას. ყრილობაზე საქართველოს სსრ წარმომადგენელია 142 დელეგატი — კოლმეურნეები, მერგოლურები, ბრიგადირები, თავმჯდომარეები, არტელების პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

გუშინ, 21 ნოემბერს, თბილისის ვაგზალში საზეიმო ატმოსფერო სუფევდა. ქართველი კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენელთა გასაცილებლად შემოდგომის ყვავილების თაიგულებით მოვიდნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები: მუშები, მოსამსახურეები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, მოსწავლეები.

...16 საათი და 40 წუთია მოსკოვის დროით. ჩქარი მატარებელი „თბილისი-მოსკოვი“ ნელა დაიძრა ადგილიდან. რესპუბლიკის კოლმეურნეთა დელეგაცია ყრილობაზე გაემგზავრა. (საქდესი).

სსრ კავშირ-თურქეთის ერთობლივი კომუნიკე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯევდეთ სუნაი 12-21 ნოემბერს ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში.

პრეზიდენტ ჯევდეთ სუნაის მოლაპარაკება ჰქონდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ნ. ვ. პოდგორნისთან, ესაუბრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს.

მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც გულახდილობის ვითარებაში, გულწრფელობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, ნათქვამია საბჭოთა კავშირ-თურქეთის ერთობლივ კომუნიკეში, საბჭოთა კავშირისა და თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობა და ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ფართო წრის საერთაშორისო საკითხებზე.

ორმხრივი ურთიერთობის საკითხებს განხილვისას ორივე მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა კეთილმეზობლური ურთიერთობის განუხრელი გაუმჯობესება და დადასტურა, რომ გადაწყვეტილი აქვთ განაგრძონ ღონისძიებანი, რათა ხელი შეუწყონ ამ განვითარებას ნდობის ვითარებაში დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, თანასწორუფლებიანობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების ურთიერთ პატივისცემის საფუძველზე.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის ნაყოფიერი განვითარება შეესაბამება ორივე ქვეყნის სურვილებსა და ურთიერთ ინტერესებს.

მხარეებმა გამოთქვეს სურვილი განაგრძონ კონტაქტები საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის მეცნიერების, ხელოვნებისა და სპორტის დარგში და ხაზგასმით აღნიშნეს ამ კონტაქტების როლი ორივე ქვეყნის ხალხთა შორის ურთიერთგაგების განმტკიცებაში.

ორივე მხარე შეთანხმდა დადონ საკონსულო კონვენცია. მოლაპარაკება ამ მიზნით უახლოეს დროში დაიწყება.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ აზრთა ურთიერთგაზიარებისას მხარეებმა დაადასტურეს თავიანთი გულწრფელი მისწრაფება, რომ მთელ მსოფლიოში დამყარდეს სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა. მათ განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაუცხრომლად იმოქმედონ ამ მიმართულებით.

ორივე მხარემ ხაზი გაუსვა, რომ მათი ქვეყნები ერთგულად იცავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და დაადასტურეს თავიანთი მისწრაფება დაუცხრომლად შეუწყონ ხელი ამ ორგანიზაციის ეფექტიანობას მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დაცვისა და შენარჩუნების საქმეში. ამასთან დაკავშირებით მხარეებმა განაცხადეს, რომ ყველა საერთაშორისო კონფლიქტი და პრობლემა უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი გზით.

მხარეებმა განაცხადეს, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების საქმეში პროგრესის უქონლობა, აგრეთვე გამალებული შეიარაღების განგრძობა კვლავ ერთ-ერთი ძირითადი დაბრკოლებაა მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დამყარების გზაზე. მათ მიაჩნიათ, რომ ყველა სახელმწიფოს ღონისძიებებით საყოველთაო და სრული განიარაღების, კერძოდ, ატომური განიარაღების განსორციელება ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის პირობებში, კვლავ არის კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ამოცანა. მხარეებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ ღონისძიებებს ისეთი ხელშეკრულების დადებისათვის, რომელიც აკრძალავს ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებათა განლაგებას ზღვათა და ოკეანეთა ფსკერზე. ხაზი გაუსვეს რა აგრეთვე იმას, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ჟენევის 1925 წლის ოქმს ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ევროპის პრობლემებს და ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ამ საკითხებზე. მათ განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხელი შეუწყონ დაძაბულობის შენელებასა და კონტაქტების განვითარებას ევროპის ქვეყნებს შორის და კვლავ დაადასტურეს თავიანთი რწმენა, რომ ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობის განვითარებისა და მათი ღონისძიებების შედეგად შესაძლო გახდება ნდობის ატმოსფეროს შექმნა და დიდი პრობლემების გადაჭრა, რომლებიც თითქვენ კონტინენტს.

ორივე მხარემ დაადასტურა, რომ სერიოზულად აწუხებთ ის, რომ ახლო აღმოსავლეთში კვლავ სროლა მდგომარეობა. მათ აღნიშნეს, რომ საჭიროა ისრაელის ჯარების გაყვანა ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის შესაბამისად.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები აგრეთვე კვიპროსის საკითხზე. თურქეთის მხარემ წარმოადგინა ინფორმაცია უკანასკნელი განვითარების შესახებ ამ საკითხში. ორივე მხარემ დაადასტურა პოზიციები, რომლებიც წინათ ჩამოუყალიბებიათ სხვადასხვა შემთხვევაში. მხარეები იცავენ საერთო აზრს, რომ საჭიროა ჯამოინახოს ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრა. მათ იმედი გამოთქვეს, რომ თურქთა და ბერძენთა თემების წარმომადგენელთა ახლანდელ მოლაპარაკებას მოჰყვება მშვიდობიანი, საბოლოო მოწესრიგება კვიპროსის სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის საფუძველზე, ორივე თემის კანონიერ უფლებათა და ინტერესთა გათვალისწინებით.

ორივე მხარემ ხაზი გაუსვა, რომ ამ აწუხებთ შექმნილი მდგომარეობა. გამოთქვეს გულწრფელი სურვილი, რომ პარიზის მოლაპარაკება დამთავრდეს დადებითი შედეგებით, რომ გამდინარეობს მშვიდობიანი გადაწყვეტა, რათა ეს კონფლიქტი მოწესრიგდეს ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა საფუძველზე და ვიეტნამელ ხალხს მიეცეს შესაძლებლობა თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი.

შეაჯამეს რა მოლაპარაკების შედეგები, მხარეებმა აღნიშნეს, რომ პრეზიდენტ ჯევდეთ სუნაის ვიზიტი. საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობის ისტორიაში პირველი ვიზიტი თურქეთის სახელმწიფოს მეთაურისა, აგრეთვე ორ მხარეს შორის აზრთა ურთიერთგაზიარება ახალი და დიდმნიშვნელოვანი წვლილია ორ ქვეყანას შორის კარგი ურთიერთობის კეთილსასურველად განვითარების საქმეში.

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სთხოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის ოფიციალური ვიზიტით ჩავიდეს თურქეთში. ამ მიზეზეს ნ. ვ. პოდგორნი მადლობით დათანხმდა, ვიზიტის დრო დამატებით განსაზღვრება.

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივსაცემად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 20 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯევდეთ სუნაის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ბ. ი. პეტროვსკი, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. კელდიში, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ა. ნ. შელეპინი და სხვები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნინს და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯევდეთ სუნაის სიტყვები წარმოთქვეს. (საკდესი).

თურქეთის პრეზიდენტის გაემგზავრება

21 ნოემბერს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი **ჯევდეთ სუნაი** მეუღლითურთ. სანატერო სტუმარი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

თურქეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ნუკოვოს აეროდრომზე ჯევდეთ სუნაი გააცილეს **ა. ნ. კოსიგინმა, კ. ტ. მაზუროვმა, ნ. ვ. პოდგორნინმ, დ. ს. პოლიანსკიმ** და სხვებმა. (საკდესი).

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატების ამ ჯგუფს ეს სურათი გუშინ ქალაქ მოსკოვში გამგზავრების წინ საქართველოს მთავრობის სასახლესთან გადაეღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა **ვლ. გინზბურგმა.** მარცხნიდან: წყალტუბოს რაიონის გვიმრების კოლმეურნეობის თავმჯდომარე **შ. ჩავჩიძე,** ახალციხის რაიონის ვალეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ს. კაკაჩიშვილი,** ადიგენის რაიონის ლელოვანის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი **ო. გუბელაძე,** სიღნაღის რაიონის მაღაროს კოლმეურნეობის ბრიგადირი **ი. ბაიდოშვილი,** სიღნაღის რაიონის ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ ტრაქტორისტი **ვ. ბახტურიძე,** მახარაძის რაიონის ასკანის კოლმეურნეობის აგრონომი **კ. ნაცვალაძე,** გეგეჭკორის რაიონის ნაგვაზავოს კოლმეურნეობის წევრი **ი. სურმავა,** სიღნაღის რაიონის ძველი ანაგის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ი. ბეგიაშვილი,** წულუკიძის რაიონის ნელეტკის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური **დ. წივწივაძე,** გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **დ. მამისაშვილი,** ზესტაფონის რაიონის ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გ. წითლიძე,** ოჩამჩირის რაიონის თვალმოდგენილ კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვ. უტიაშვილი,** ზუგდიდის რაიონის ორსანტიის კოლმეურნეობის კოლმეურნე, პენსიონერი **გ. საჯაია,** ჩხოროწყუს რაიონის ხაბუმის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **შ. შენგელია,** ტყიბულის რაიონის კურსების კოლმეურნეობის კოლმეურნე **ც. დოლონაძე,** გალის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე **ლ. გამსახურდია,** ვუდაუთის რაიონის ლიხნის კოლმეურნეობის კოლმეურნე **ს. გუმბა,** მახარაძის რაიონის ზრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **მ. ორაგველიძე,** გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა „საქართველოს“ კოლმეურნე **ზ. ზარანდია,** ახმეტის რაიონის ქრისტეფორის კოლმეურნეობის მერგოლური-მეაბრეშუმე **ო. აივაზაშვილი,** ოჩამჩირის რაიონის ლოჩარის კოლმეურნეობა „საქართველოს“ კოლმეურნე **ც. ჭარდავა,** გორის რაიონის კარალეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე **ს. ბაზანდარაშვილი.**

დელეგატების სიტყვა

მოსკოვში გაემგზავრების წინ

გუშინ კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრნენ ამ ყრილობის დელეგატები, რომლებიც აირჩიეს საქართველოს კოლმეურნეთა მესამე ყრილობაზე. გამგზავრების წინ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომელი შეხვდა დელეგატთა ერთ ჯგუფს და მათ მიმართა ორი კითხვით:

რა მისცა საკოლმეურნეო ცხოვრებამ თქვენს სოფელს და რა ვოგცათ კირაღდ თქვენ?

რას იტყვით კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის მნიშვნელობასა და ახალი წესდების პროექტზე?

აი რა უპასუხეს მათ ამ შეკითხვებზე:

□

საკოლმეურნეო ცხოვრებამ მთლიანად უცვალა სახე ჩვენს სოფელს. ერთ დროს უმეცრებაში მყოფი მიქელგაბრიელის მშრომელები ახლა შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ. ამიტომ შრომით შექმნილ განახლებულ სოფელს შრომა ვუწოდეთ. პირადად მე ჩემს ცხოვრებაში ბევრი სახარული განვიცადე, შრომამ ამამაღლა და უბრალო გლეხის შვილი რესპუბლიკის პარლამენტის წევრი გამხადა. კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების შემმუშავებელი კომისიის წევრი რომ ვარ, ეს უფრო მეტს მავალებს; ვცდილობ ისე ვიმუშაო, რომ ჩვენი სოფლის კოლმეურნე გლეხობა მაღლერი იყოს, არაფერი გაუჭირდეს და ხვალ კიდევ უკეთესად იცხოვროს, ვიდრე დღეს.

მჯერა, რომ კოლმეურნეობის ახალი წესდება, რომელსაც ყრილობა მიიღებს, საკოლმეურნეო ცხოვრების ნამდვილი კონსტიტუცია, მომავლის ჩირაღდანი იქნება.

მ. ორაგველიძე,
მახარაძის რაიონის შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

ბევრი, ძალიან ბევრი მისცა საკოლმეურნეო ცხოვრებამ ჩვენს სოფელს. მთავარი კი ის არის, რომ ახლა ჩვენს სოფელში ყველა მშრომელი შესანიშნავად ცხოვრობს. წარსულს ჩაბარდა უწიგნურობა, შური, მტრობა. ჩემი პირადი ცხოვრების ყოველი სიკეთე კოლმეურნეობასთან არის დაკავშირებული, და მადლობის მეტი რა მეთქმის.

ახალი წესდება, ჩემი აზრით, სავსებით შეეფერება ჩვენს დღევანდელობას, ამასთან გვიჩვენებს გზას უკეთესი მომავლისაკენ.

მ. ადლეიბა,
ოჩამჩირის რაიონის გვადის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

ვისაც სურს გაიგოს, რა მოგვცა საკოლმეურნეო ცხოვრებამ, ვთხოვთ გვეწვიოს ველისციხეში, ნახოს ჩვენი ზვრები, კოლმეურნეთა სიუხვით სავსე ოჯახები. ამასთან ვაჩვენებთ ჩვენი სოფლის წარსულის ამსახველ სურათებს, და მჯერა, რომ მნახველი თვითონ გააკეთებს დასკვნებს, თუ რანი ვიყავით და რანი ვართ.

მე პირადად ახალი წესდებისგან ძალიან ბევრს მოველი. ვიცი და მწამს, რომ ახალი წესდების განხორციელებით იწყება ახალი ეტაპი საკოლმეურნეო ცხოვრებაში.

დ. მამისაშვილი,
გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

საკოლმეურნეო ცხოვრებით პირველ რიგში ჩვენ, ახალგაზრდები, ვართ კმაყოფილი. ჩვენმა პაპებმა და მამებმა საკუთარ მხრებზე გადაიტანეს ის სიმძიმე, რაც კოლექტიური ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლის პერიოდს ახლდა თან. ახალგაზრდებს ისღა დაგვრჩენია, რომ მამაპაპათა მდიდარ ტრადიციებს თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ, ვისწავლოთ, ვიმრომოთ და სრულად გამოვიყენოთ მეცნიერების მიღწევები, მძლავრი ტექნიკა, ვამრავლოთ დოვლათი. ბედნიერება საკოლმეურნეო შრომამ მომცა, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, 1966 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება რომ მომანიჭეს. ამან უფრო გამახალისა, ენერგია შემმატა. კოლმეურნეთა ყრილობაზე ბევრ ახალ მეგობარს შევიძენ, რაც შემდგომ შრომაში გამომადგება.

კოლმეურნეობის ახალი წესდება კოლმეურნეობებს განამტკიცებს ორგანიზაციულად, ეკონომიურად. მისი განხორციელებისათვის ბრძოლის ავანგარდში ჩვენ, ახალგაზრდები, უნდა ვიყოთ.

დ. წივწივაძე,
წულუკიძის რაიონის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი.

საქართველოს სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

21 ნოემბერს გაიმართა საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სკკ მორიგი, XXVIII ყრილობის მოწვევის შესახებ
2. ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა დაადგინა საქართველოს სკკ მორიგი, XXVIII ყრილობა მოიწვიოს 1970 წლის 26-27 თებერვალს შემდეგი დღის წესრიგით:

1. საქართველოს სკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. არჩევნები:

ა) საქართველოს სკკ ცენტრალური კომიტეტისა.

ბ) რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიისა.

გ) სრულიად საკავშირო სკკ XVI ყრილობის დელეგატებისა.

პლენუმმა სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოს სკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნისა და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. **რ. ხ. კონცელიძე.**

საქართველოს სკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად არჩეულია ამხ. **ჯ. ი. პატიაშვილი.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე **მ. ა. გოგიჩაიშვილი** და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე **დ. ვ. გოგოხია.** (საქდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. გ. ლ. ბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. გიორგი ლევანის-ძე ბერიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე

თბილისი,
1969 წლის 21 ნოემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. გ. მიქელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიაში ხანგრძლივი, უმწიკლო სამსახურისა და მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, გადამდგარი გენერალ-მაიორი მიხეილ გიორგის-ძე მიქელაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე

თბილისი,
1969 წლის 21 ნოემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ს. დ. ბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის უფროსი მეცნიერ-მუშაკი ამხ. სოფიო დიონისეს ასული ბერიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე

თბილისი,
1969 წლის 21 ნოემბერი.

ლენინის ფუძე ჩვენს ჰლანეტაზე

მომავლის ჰორიზონტი

ოქტომბრის რევოლუციამ ხალხებს მომავლის ახალი ჰორიზონტი გადაუშალა, დაანახვა მათ თუ რის მიღწევა შეუძლიათ საბჭოთა კავშირის მაგალითის მიხედვით.

დღეს აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ხალხებს მაღლა უპირავთ იმპერიალიზმის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა, და მათთვის მაგალითია უკვდავი ლენინი, რომლის იდეები მთელ მსოფლიოში გავრცელდა. მე ბევრ საბჭოთა ადამიანს შევხვედრივარ, ესაუბრობდით სხვადასხვა თემაზე, აზრებს ვუზიარებდით ერთმანეთს, და დავრწმუნდით იმაში, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ლენინის მოძღვრება, რამდენად განუყოფელია იგი საბჭოების ქვეყნის სწრაფი განვითარებისა და აყვავებისაგან.

სსრ კავშირში ყოფნისას ვნახე ის ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია ლენინის ცხოვრებასა და ბრძოლასთან. ყველგან მაოცებდა ამ დიდი და ამაღე დროს უბრალო ადამიანის თავმდაბლობა. სადაც უნდა ვყოფილიყავი, სახლი იქნებოდა ეს, სადაც დაიბადა და სიჭაბუკის წლები გაატარა ლენინმა, თუ ოროთახიანი უბრალო ბინა, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა ბელადი 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, ყველაფერი მის თავმდაბლობაზე მეტყველებდა.

ლენინმა იცოდა, რომ პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ხალხს მოელოდა ბრძოლა კონტრრევოლუციისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს უნდა დაეძლია იმპერიალისტების მიერ დაწყებული შეიარაღებული ინტერვენცია და ეკონომიური ბლოკადა.

განმათავისუფლებელი მოძრაობისა და რევოლუციების ისტორიამ იცის ბევრი ხელმძღვანელი, რომლებსაც ბრძოლა ბოლომდე არ მიუყვანიათ. გამარჯვების შემდეგ ბევრი მათგანი ყოფილ მმართველთა პოზიციებზე დგებოდა და პირადი ინტერესების სასარგებლოდ ხელში იგდებდა აუცილებელ სიმდიდრეს. იმპერიალისტები ახლაც ისწრაფვიან „აღზარდონ“ და გაამრავლონ ისეთი ტიპის ლიდერები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ნეოკოლონიალისტური გეგმების განხორციელებას. ლენინმა საბჭოთა სახელმწიფო იმისათვის შექმნა, რომ მთელი სიმდიდრის ბატონ-პატრონი ხალხი ყოფილიყო. 1917 წლიდან საბჭოთა კავშირმა სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის მშენებლობაში უდიდეს წარმატებებს მიაღწია.

52 წლის წინათ პირველად გაჩნდა მუშათა და გლეხთა სახელმწიფო — იმხანად სოციალიზმის ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში. ახლა სოციალიზმის პირობებში ყაზბრიობის ერთი მესამედი ცხოვრობს. მსოფლიოს ჩაგრულმა ხალხებმა ნათელი შუქი დაინახეს და, უეჭველია, სოციალიზმისათვის ბრძოლა გაგრძელდება, ყაზბრიობა თავიდან მოიშორებს იმპერიალისტურ ექსპლოატაციასა და ჩაგვრას.

ვ. ოლონდე,
კენიელი ჟურნალისტი.

ფინეთი

ფინეთი. ქალაქ ტურკუში მოეწყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი კვირეული.

კვირეულის დღეებში ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები შეხვდნენ ფინეთის მუშათა მოძრაობის ვეტერანებს, მოეწყო ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოგამოფენა, გაიმართა წიგნის გაზეთობა, სადაც იყიდებოდა რეგიონალური ბელადის ნაწარმოებები ფინურ ენაზე.

სურათზე: კრება მუშათა ორგანიზაციების სახლში. ფინეთის მუშათა მოძრაობის ვეტერანი ტუურე ლეხტინი გამოდის მოხსენებით „ლენინური იდეების გავრცელება ფინეთში“.

ფოტო ვ. სოგოლევისა, (საკ.)

უცხოელთა თვალით

მუვიდობისადმი მისწრაფება სოციალისტური საზოგადოების ბუნების არსს წარმოადგენს. მთელი ხუთი ათწლეულის მანძილზე საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავდა მშვიდობას და განუხრელად ემსახურებოდა ყველა ქვეყანაში ხალხის მასების ინტერესებს.

„პოლიტიკალ აფერსი“,
ამერიკის შეერთებული შტატები.

სსრ კავშირი დღეს წარმოადგენს ძველ დედამიწაზე მუვიდობის მტკიცე ბურანტიას.. საბჭოთა კავშირი დღეს ყველაზე დიდი ივნდია კაცობრიობისათვის.

ჟურნალ „სიემპრე,“ მექსიკა.

საბჭოთა კავშირმა დაამტკიცა, რომ იგი აფრიკის ქვეყნების ერთადერთი ერთგული მეგობარია... არის საბჭოთა რუსეთი, რომელზეც ყოველთვის შეიძლება იმედი დაამყარო, როგორც მეგობარზე კრიზისის პერიოდში.

„მორნინგ პოსტი“, ნიგერია.

სსრ კავშირმა შეძლო განუვითარებელი ქვეყანა გადაექცია უმაღლეს დონეზე ინდუსტრიალიზებულ საზოგადოებად. რუსებმა თავიანთი ეკონომიკა განავითარეს ექვსჯერ. საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად გაცილებით მეტ ინჟინერს უშვებენ, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. მრეწველობის ბევრ დარგში რუსებმა გაუსწრეს ამერიკის შეერთებულ შტატებს.

„პარენტ კინსტორი“, მარშალ გოლდმანი, ეკონომიკის პროფესორი.

რუსეთი არ აპირებს ატომური კატასტროფის გამოწვევას. ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთი დაინტერესებული არ არის ომის გაჩაღებით. იგი შეჯიბრებაში გვიწვევს ბაზრებზე, კოსმოსსა და მსოფლიო ვაჭრობაში. ყველა ამ დარგში მან პროგრესს მიაღწია.

„კონგრეშნალ რეკორდი“, ჩარლზ ბენეტი,
ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის წევრი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
მე-2 გვერდი, შაბათი,
22 ნოემბერი, 1969 წ.

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲡ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘ

თუ 1917 წლის მსოფლიოს სურათს შევადარებთ იმას, რასაც იგი ახლა, 1969 წელს, წარმოადგენს, დანამდვილებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ ოქტომბრის დიდი იდეების ტრიუმფზე. ამას მოწმობენ დედამიწის ზურგზე ნახევარი საუკუნის განმავლობაში მომხდარი მძლავრი სოციალური შერყევანი და ძირეული ცვლილებანი. უკვე ჩვეული გახდა იმის ხაზგასმით აღნიშვნა, რომ დიდმა ოქტომბერმა და, შესაბამისად, მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმოშობამ, განვითარებამ და განმტკიცებამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა და ახდენს ძალთა თანაფარდობაზე სოციალიზმის სასარგებლოდ.

ახლა სულ სხვადასხვა ქვეყანაში უკვე მრავალი ასეული მილიონი ადამიანი დარწმუნდა, რომ მშრომელთა ძალაუფლებამ, რომელიც ლენინური იდეებისა და ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად დამყარდა, ცხადყო თავისი გიგანტური შემოქმედებითი შესაძლებლობანი, სამუდამოდ მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, უზრუნველყო ეკონომიკის აღმავლობა, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელი ამაღლება. წარმატებანი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, გამარჯვებანი კოსმოსის დაპყრობაში მოწმობენ იმას, რომ საბჭოთა კავშირი გადაიქცა მსოფლიო ეკონომიურ, პოლიტიკურ და სამხედრო სახელმწიფოდ.

დღეს საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ორი სოციალურ-ეკონომიური სისტემის შეჯიბრება. იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოდის სამი დიდი ძალა: სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა, საერთაშორისო მუშათა კლასი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ხშირად ზოგიერთი ბურჟუაზიული ეკონომისტი და იდეოლოგი ამტკიცებს, თითქოს კაპიტალიზმი, განსაკუთრებით მის სახელმწიფო-მონოპოლისტურ სტადიაში, საყოველთაო კეთილდღეობას უზრუნველყოფდეს. ისინი რეკლამას უწევენ თავიანთ უბადლებულ თეორიებს „სიუხვის საზოგადოების“, „საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების“ შესახებ და ა. შ.

მაგრამ სინამდვილეში რას წარმოადგენს „სოციალური აყვავება“ წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების პირობებში? ეს უწინარეს ყოვლისა არის სიმდიდრის კონცენტრაცია ერთ პოლუსზე, ტრესტებისა და მონოპოლიების ხელში, ხოლო მეორე პოლუსზე — სიღატაკე და სულ უფრო გაძლიერებული უმუშევრობა, თავისი ხვალინდელი დღისადმი რწმენის უქონლობა.

ნადი ფულის სისტემა შესაძლებლობას აძლევს ბურჟუაზიას მდიდრდებოდეს მუშებისათვის ქანცის გამოცლისა და მათი ექსპლოატაციის ხარჯზე. და ყოველივე ამას ფარავენ დემაგოგიური ლაბობით ერის, ქვეყნის, სახელმწიფოს ინტერესებზე. მარქსმა უკვე პასუხი გასცა ბურჟუაზიის იდეოლოგებს, რომლებიც გაჰყვიროდნენ „ეროვნული ინტერესების დაცვაზე“. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათი მსჯელობა ყალბ აბსტრაქციას ემყარება. წარმოების იმ წესის პირობებში, რომელიც მოგებასა და კაპიტალისტურ ორგანიზაციას ეყრდნობა, ისინი, ვის ხელშიც არის ფული და ძალაუფლება და ვისაც სურს მათი გამრავლება, ნაკლებად ზრუნავენ ეროვნულ საკეთილდღეებზე.

საიდუმლო არ არის, რომ კაპიტალიზმი გამორიცხავს მთელ არსებულ მატერიალურ შესაძლებლობათა გამოყენებას, საწარმოო ძალების ძლავრ განვითარებას საზოგადოების ყველა წევრთა სრული კეთილდღეობისა და აყვავების უზრუნველსაყოფად. მას არ შეუძლია მოახდინოს მთელი რესურსების, ადამიანთა მთელი უნარის მობილიზაცია. მას არ ძალუძს გადაწყვიტოს ამოცანები მთელი საზოგადოების პროგრესის ინტერესებისათვის და ამიტომ ადგილი უნდა დაუთმოს სოციალიზმს.

ცხოვრება განუწყვეტლივ ადასტურებს ოქტომბრის რევოლუციის ყოვლისმძლე იდეების, ვ. ი. ლენინის იდეების ეფექტურობასა და ნაყოფიერებას. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნისათვის მთელი პლანეტა ემზადება.

საბჭოთა ხალხის თვითეული მიღწევა ჩვენი საერთო საქმის წარმატებაა. სსრ კავშირი სათავეში უდგას ყველა ხალხთა დიად განმათავისუფლებელ ბრძოლას კოლექტიური საერთაშორისო უშიშროებისათვის, კაცობრიობის პროგრესისა და მომავლისათვის.

შარლ აროზი,
ფრანგი პუბლიცისტი.

ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲒᲐᲣᲠᲗᲘᲚᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი, 21 ნოემბერი (საკ.). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე კომიტეტმა მოიწონა რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმულია შეშფოთება იმის გამო, რომ ისრაელი ხელისუფალნი არ ასრულებენ უშიშროების საბჭოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოების გადაწყვეტილებებს ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევის შესახებ.**

კომიტეტმა მოიწოდა ისრაელის მთავრობას მომავალში თავი შეიკავოს რეპრესიებისაგან სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ, შეასრულოს ჟენევის 1949 წლის კონვენციისა და ადამიანის უფლებების შესახებ სხვა რეზოლუციების დებულებანი.

რეზოლუციას ხმა მისცა 51 დელეგაციამ, მათ შორის სსრ კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა.

ᲐᲛᲤᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲠᲔᲞᲠᲔᲡᲘᲔᲑᲡ

ნიუ-იორკი, 21 ნოემბერი. (საკ.). **იუსტიციის სამინისტრო და ზოგიერთი სხვა უწყება პოლიციურ რეპრესიებს ამზადებენ ანტისამთავრო ბოიკოტების მონაწილეთა წინააღმდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში.** როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ წერს, იუსტიციის სამინისტროს გამოძიების ფედერალურ ბიუროსა და „თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო არეულობის ბრძოლის სპეციალური სამმართველოს“ საიდუმლო აგენტები შეიკრიბნენ ზოგიერთ ომის საწინააღმდეგო საზოგადოებრივ ორგანიზაციაში. „ნიუ-იორკ პოსტის“ ხელში აღმოჩნდა „საიდუმლო მოხსენება“, რომელიც ამ აგენტურამ მოამზადა „პირადად პრეზიდენტ ნიქსონისათვის“. სწორედ ეს მოხსენება, წერს გაზეთი, იყო იმ რეპრესიულ ღონისძიებათა საფუძველი, რომლებსაც მთავრობა ამზადებს ანტისამთავრო მოძრაობის აქტივისტთა წინააღმდეგ.

„ნიუ-იორკ პოსტი“ წერს, რომ რეპრესიების ობიექტი უწინარეს ყოვლისა შეიძლება გახდეს „ახალი მობილიზაციის მოწყობის კომიტეტის“ წევრები, რომლებიც 13-15 ნოემბერს მეთაურობდნენ დემონსტრაციებს ვაშინგტონში.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ

პარიზი, 21 ნოემბერი. (საკ.). სორბონის პარლამენტის საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სექციამ გუშინ მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ი. ვ. სპირიდონოვის მეთაურობით, რომელიც საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

სექციის თავმჯდომარემ გენერალმა პუიადმა მისასალმებელ სიტყვაში თქვა, რომ პარლამენტარებს შეუძლიათ დიდი როლი შეასრულონ ორი ქვეყნის ხალხთა კონტაქტების განმტკიცების, მაგი დაახლოების საქმეში. ჩვენი მეცადინეობა, აღნიშნა მან, უმთავრესად უნდა წარმართოთ იმისათვის, რომ დავიცვათ ახალგაზრდა თაობა ომისაგან.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის სექციის თავმჯდომარემ გ. ა. ეფიკოვმა წამოაყენა წინადადება, რომ მოსკოვში გაიმართოს ორი ქვეყნის პარლამენტართა შეხვედრა, რომელიც განიხილავს კონტაქტების განვითარების, მშვიდობის განმტკიცების, უშიშროების საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის საკითხებს.

ი. ვ. სპირიდონოვმა გამოთქვა რწმენა, რომ კიდევ უფრო განმტკიცდება და განვითარდება საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა

სსრ კავშირის ელჩმა საფრანგეთში ვ. ა. ზორინმა გუშინ დარბაზობა გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. სპირიდონოვი.

დარბაზობაზე იყვნენ პარლამენტთან კავშირის საკითხთა სახელმწიფო მდივანი ჟან ლუი ტინო, პარლამენტის საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სექციის თავმჯდომარე გენერალი პუიადი, საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრები ჟაკ დიუკლო, როლან ლეროუა, ალრეთვე დეპუტატები, ჟურნალისტები.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲛᲫᲘᲓᲠᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

ბერლინი, 21 ნოემბერი. (საკ.). **გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სხდომამ, რომელსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი თავმჯდომარეობდა, განიხილა რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების მიერ მოკლალეთა განცხადებების განხილვის შესახებ სახელმწიფო საბჭოს ახალი ბრძანებულების პროექტი.** ბრძანებულებაში ხაზგასმულია, რომ საჭიროა მოკლალეთა უფრო მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფო და ეკონომიურ ორგანოებთან სოციალიზმის

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ულბრიხტმა

მშენებლობაში. ბრძანებულების მიზანია უფრო ფართოდ ჩაბას მშრომელები სახელმწიფოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა ბრძანებულება, რომელიც ძალაში შევა 1969 წლის 1 დეკემბრიდან.

აღნ-ის სააგენტომ გადმოსცა კომუნიკე, რომელშიც აღნიშნულია, რომ სხდომაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ულბრიხტმა დეტალურად გააანალიზა ბონის ახალი კოალიციური მთავრობის შექმნა და მისი პოლიტიკა, აგრეთვე დაახასიათა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი. სახელმწიფო საბჭომ მიიწონა ვ. ულბრიხტის გამოსვლა.

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘᲡ ᲮᲠᲘᲒᲔᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

პარიზი, 21 ნოემბერი. (საკ.). გუშინ მადრიდის სამხედრო ტრიბუნალმა ოფიციალურად უარყო ლისაბონის მოთხოვნა საიდუმლო პოლიციისათვის გადაეცა პორტუგალიელი ანტიფაშისტი იენსიო და პალმა, რომელიც პორტუგალიის საპატიმროდან გაიქცა და შემდეგ ესპანეთში დააპატიჟეს.

□ □ □

სტარტი მთვარიდან

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი. (საკ.). **დღეს 17 საათსა და 26 წუთზე მოსკოვის დროით კოსმონავტებმა ჩარლზ კონრადმა და ალან ბინმა სტარტი აიღეს მთვარიდან მთვარის კაბინის ასაფრენი საფეხურით.**

ისინი მთვარეზე იყვნენ დაახლოებით 31 საათს და ამ დროის მანძილზე ორჯერ „გასეირნეს მთვარეზე“. მთვარის ზედაპირზე მათი გასეირნების საერთო ხანგრძლივობა იყო 7,5 საათი.

ნაშუადღევს კოსმონავტები კაბინის საბორტო სისტემებს ამზადებდნენ მთვარიდან ასაფრენად, „აპოლონ-12“ კოსმოსური ხომალდის ძირითად ბლოკთან შეხვედრისა და შეპირაპირებისათვის. ძირითადი ბლოკი, რომელშიც კოსმონავტი რიჩარდ გორდონი იყო, მთვარის ირგვლივ ორბიტაზე დაფრინავდა.

საჭირო მომზადების შემდეგ ჩართეს ასაფრენი საფეხურის ძრავა, რომლითაც კოსმონავტები აფრინდნენ. მთვარეზე დარჩა მთვარის კაბინის დასაშვები საფეხური.

ძალე ასაფრენი საფეხური ორი კოსმონავტითურთ გავიდა სიფეხის სელენოცენტრულ ორბიტაზე, რომლის მინიმალური სიმაღლე მთვარის ზედაპირიდან იყო დაახლოებით 16 კილომეტრი და მაქსიმალური — დაახლოებით 87 კილომეტრი.

ორიენტაციის სისტემის ძრავების საშუალებით ჩ. კონრადმა და ა. ბინმა შეასრულეს მთელი რიგი მანევრები და თანდათან მიუახლოვდნენ ძირითად ბლოკს.

დაახლოებით 21 საათზე მოსკოვის დროით ასაფრენი საფეხური უნდა შეუპირაპირდეს ძირითად ბლოკს, რის შემდეგ ჩ. კონრადი და ა. ბინი გადავლენ ეკიპაჟის ნაკვეთურში და თან გადაიტანენ მთვარის გრუნტის ნიმუშებს. „სერვეიორ-3“ აპარატის დემონტირებულ ნაწილებსა და გადაღებულ ფირს.

ხანმოკლე დასვენების შემდეგ კოსმონავტები ძირითად ბლოკს მოაშორებენ მთვარის კაბინის ასაფრენ საფეხურს. შემდეგ ჩართავენ მის ძრავას, რომელიც დაამუხრუჭებს საფეხურს იმ ვარაუდით, რომ იგი მთვარის ზედაპირზე დაეცეს.

ხვალ კოსმონავტები განაგრძობენ ფრენას სელენოცენტრულ ორბიტაზე, ფოტოსურათებს გადაუღებენ მთვარის სხვადასხვა მონაკვეთს. დღის დამლევს გათვალისწინებულია ხომალდის სამარშო ძრავის ჩართვა, რაც უზრუნველყოფს მის გადასვლას დედამიწისაკენ ფრენის ტრაექტორიაზე.

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი. (საკ.). დღეს 20 საათსა და 59 წუთზე მოსკოვის დროით ასაფრენი საფეხური შეუპირაპირდა „აპოლონ-12“ კოსმოსური ხომალდის ძირითად ბლოკს.

ნიუ-იორკი, 21 ნოემბერი. (საკ.). გუშინ 23 საათსა და 10 წუთზე მოსკოვის დროით ორი საათის შემდეგ იმ მომენტიდან, რაც მთვარის კაბინის ასაფრენი საფეხური შეუპირაპირდა „აპოლონ-12“ კოსმოსური ხომალდის ძირითად ბლოკს მთვარისირგვლივ ორბიტაზე, კოსმონავტები კონრადი და ბინი შიდა სარომით გადავიდნენ ეკიპაჟის ნაკვეთურში. ეს ორი საათი მათ მოანდომეს მტვერსასრუტით საფანდრებისა და სხვა საჭიროების გაწმენდას მთვარის მტვრისაგან.

23 საათსა და 22 წუთზე კოსმონავტებმა ძირითადი ბლოკი მოაშორეს ასაფრენ საფეხურს. ამ მომენტიდან საათნახევრის შემდეგ ჩართეს ასაფრენი საფეხურის ძრავა, საფეხური დამუხრუჭდა და მთვარეზე დავარდა. დავარდნის ადგილი 72 კილომეტრით დაშორებულია წერტილს, სადაც კოსმონავტებმა დადგეს სეისმომეტრი, რომელსაც უნდა აღენიშნა დარტყმა ასაფრენი საფეხურის დავარდნის დროს. შეცნიერთათვის მთვარის ზედაპირის რხევა დავარდნის შემდეგ აღინიშნებოდა ნახევარ საათზე მეტი ხნის განმავლობაში. თუმცა ვარაუდობდნენ, რომ რხევა შეწყდებოდა რამდენიმე წუთის შემდეგ. ამ მოვლენამ დიდი ინტერესი გამოიწვია და ჯარკვარობით ვერ აიხსნიათ.

21 ნოემბერს ღამის მეორე საათზე უნდა დაწყებულიყო კოსმონავტების ძილის პერიოდი. და ამ დროს 20 წუთით შეწყდა კავშირი ხომალდთან. კავშირი განახლდა, როცა დედამიწიდან გაგზავნეს საავარიო სიგნალი. თავდაპირველად ფრენის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, რომ ხომალდის მახვილად მომართულმა ანტენამ „დაკარგა“ დედამიწა, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ კოსმონავტებმა თვითონ გამოთიშეს რადიოპარატურა, სანამ მთვარის მტვერს „ებრძოდნენ“.

დაახლოებით დილის 9 საათზე დღეს კოსმონავტებმა გაიღვიძეს. 23 საათსა და 43 წუთზე ხომალდი უნდა გადავიდეს დედამიწისაკენ ფრენის ტრაექტორიაზე.

კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ

— თქვენ ბედმა გაგიღიმათ. ეს ხომ ძველი მოსამართლე კრებტრია. რომ იცოდეთ, რა მდიდარი პრაქტიკა აქვს!

„დეილი მირორი“, ლონდონი.



— ვინ ამბობს, რომ საბერძნეთში კონსტიტუცია არა გვაქვს? აიღე და თვითონ წაიკითხე.

„ოტეჩესტვენ ზრონტი“, სოფია.

ᲡᲔᲡᲘᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

სოფია, 21 ნოემბერი. (საკ.). დამთავრდა ბულგარეთის სახალხო კრების სესია. დეპუტატებმა განიხილეს და დამტკიცეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის გეგმა და ქვეყნის 1970 წლის ბიუჯეტი.

სესიამ დამტკიცა აგრეთვე კანონები სახალხო კრების, სახალხო საბჭოების, სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების რწმუნებულებათა ვადის გაგრძელების შესახებ.

ᲠᲐᲡᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲜᲔᲑᲝᲑᲐ

ლუდონი, 21 ნოემბერი. (საკ.). მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს მართავს სმიტის სროვა, რომელმაც 1965 წლის ნოემბერში უკანონოდ გამოაცხადა სამხრეთ როდეზიის დამოუკიდებლობა, როდეზიის სასამართლოების მიერ აფრიკელებისათვის გაბატონებული სიკვდილის განაჩენის რაოდენობა 6-ჯერ და მეტად გაიზარდა. ამას იუწყება სამხრეთ აფრიკის გაზეთი „რანდ დეილი ნიელი“, რომელიც აღნიშნავს, რომ სიკვდილის განაჩენი ძირითადად გამოქმედათ ყბადაღებული „კანონიერებისა და წესრიგის დაცვის კანონის“ საფუძველზე, რომელიც მიმართულია სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი პატრიოტების წინააღმდეგ.

ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ვაშინგტონი, 20 ნოემბერი. (საკ.). სენატორის „შავ ბაზარში“ საფინანსო ოპერაციათა მოცულობამ განვლილი ხუთი წლის მანძილზე 360 მილიონი დოლარი შეადგინა. ეს ციფრები და სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქში საქმოსანთა მექრთამეობის, გამყიდველობისა და გამდიდრების ფაქტები, ამას წინათ აცნობა სენატის ერთ-ერთი ქვეკომისიის წევრებს ამერიკის საიგონის საელჩოს ატაშე რობერტ პარკერმა.

სენატის ქვეკომისიაში საქმის მოსმენამ ცხადყო, რომ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების ბინძური ომი კარგი ნიადაგია სამხრეთ ვიეტნამში სპეკულანტთა აყვავებისათვის, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული საიგონის ძირმომპალ რეჟიმთან.

სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქში მომგებიან ბიზნესში მონაწილეობს ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი ბანკიც. ერთ-ერთი მათგანია ნიუ-იორკის „მენეუფეკჩურერს ჰანოვერ ტრასტ კომპანი“, რომლის შუამდგომლობითაც ხორცეულდება „შავი ბაზრის“ ფინანსურ ოპერაციათა მნიშვნელოვანი ნაწილი.

600 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲣᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘ

ლონდონი, 21 ნოემბერი. (საკ.). 600 ათასზე მეტი უმუშევარია დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში. დიდ ბრიტანეთში უმუშევრები შეადგენენ ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 2,4 პროცენტს, ხოლო ჩრდილოეთ ირლანდიაში — 7,3 პროცენტს.

ეს მონაცემები გამოაქვეყნა დასაქმებისა და შრომის ნაყოფიერების საკითხთა სამმართველომ.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲬᲕᲠᲗᲜᲐ

დასავლეთი ბერლინი, 20 ნოემბერი. (საკ.). დღეს აქ დაიწყო დასავლეთ ბერლინში განლაგებული ამერიკის ჯარების სახელო რო წვრთნა, როგორც გამოაცხადეს, ეს წვრთნა მიზნად ისახავს შეამოწმონ ამერიკის ჯარების „მზადყოფნა“ და მათი „სხვადასხვა სიტუაციაზე რეაგირების“ უნარი.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ

ვაშინგტონი. წამყვანი დეპარტამენტების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირი.

თავმჯდომარე: ბატონებო! დღის წესრიგში ერთი საკითხი დგას — შეეციის წინააღმდეგ კომპლექსური აქციის შემუშავება. ამ ქვეყნის მიერ დასავლეთის ცივილიზაციის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობათა სია ერთობ ვრცელია, ისე როგორც ჩვენის მუშებსდაკის გზა მილიონერობამდე. რას აკეთებს შეეცია? თავშესაფარს აძლევს ჩვენს ჯარისკაცებს, რომლებიც სამხედრო სამსახურიდან გარბიან. დასავლეთში პირველმა ცნო ჰანოი. მოითხოვს ევროპის საბჭოდან ჩვენი მეგობრების — ბერძენი პოლკოვნიკების გარიცხვას. პორტუგალიას უარი უთხრა დახმარებაზე. კაბორა-ბასას ელექტროსადგურის მშენებლობაში, რომელიც აუცილებელია ჩვენთვის შავ კონტინენტზე თეთრკანიანი ადამიანის დამკვიდრებისათვის. საკმარისია? მთავარი მაინც უნდა ვთქვათ, შეეცია აპირებს დახმარება აღმოუჩინოს ჩრდილოეთ ვიეტნამს. მას, როგორც ხედავთ, მიაჩნია, რომ იქ საომარი მოქმედება უკვე შეწყვეტილია (საერთო სიცილი) და შეიძლება შეუდგნენ აღდგენის სამუშაოებს.

საბოლოო ანგარიშით გამოდის, რომ ჩვენ, ვიცავთ რა ცივილიზაციას, შავ სამუშაოს გასრულებთ, მაგი სურთ დაუთესავად მოსავალი აიღონ. არ გამოუვათ! ამერიკის დემოკრატიის ბასრი მახვილი თავს დაატყდება ჭირკეულებს. უნდა მოგახსენოთ, რომ გადაწყვეტილება საერთოდ უკვე მიღებულია. ახლა მოვისაუბროთ დეტალებზე.

პრეზიდენტი ნიქსონი: ბატონებო! ეს ფენომენი ბევრ ადამიანს ეგონა ბოლოდ. ეს ბოლოდ ეგონა ბევრ ადამიანს. ეს ბოლოდ ეგონა ბევრ ადამიანს. ეს ბოლოდ ეგონა ბევრ ადამიანს

პეტრე რომანის-ძე ბაგრატიონის დაბადების 150 წლისთავი

გაქოლილი ქართველი მეცნიერი

პეტრე ბაგრატიონი.

ხვალ ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა აღნიშნავს შესანიშნავი ქართველი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის - პეტრე რომანის-ძე ბაგრატიონის დაბადების 150 წლისთავს.

ცნობილია, რომ ოსმალეთისა და ლეკების სისხლიანი თარეშის შედეგად ვახტანგ VI იძულებული იყო 1724 წლის 15 ივლისს საქართველოს საზღვრებს გასცლოდა და რუსეთისაკენ — ასტრახანს გამგზავრებულიყო. მის მაგიერ ქართლის ტახტზე ავიდა ვახტანგ VI-ის ძმა იესე ბაგრატიონი, რომელმაც სამ წელს იმეფა. 1727 წელს იგი გარდაიცვალა. იესეს შემდეგ ოსმალეთმა ქართლის ტახტი იესეს მემკვიდრეებს წაართვეს, ამიტომ იესეს შთამომავლნიც ასტრახანის გზას დაადგნენ.

ვახტანგ VI-ისა და იესეს დასის საკმაო ნაწილი მდინარე თერგის შესართავის ახლოს, ქ. ყიზლარში დასახლდა და რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. ბევრი მათგანი სამხედრო სამსახურში შეიდა. 1757 წელს ყიზლარში გადასახლდა იესეს მეფის ძე — ალექსანდრე ბაგრატიონიანი, ალექსანდრეს ეყოლა სამი შვილი: ანა იოანე და სოლომონი.

თვით ალექსანდრე სამხედრო სამსახურში შესულა და ვაჟიშვილებიც სამხედრო სამსახურში შეუყვანია, ხოლო ანა თავად გოლიცინზე გათხოვილა და პეტერბურგში გადასახლებულა. ალექსანდრეს უფროსი ვაჟი იოანე 1749-1763 წლებში პსკოვის კარაბინერთა პოლკში მსახურობდა. იმხანად ეს პოლკი პოლტავაში იყო განლაგებული, ქართველთა კოლონიის (კრემენჩუგის) ახლოს. აქ მას შეეძინა ორი ვაჟი: პეტრე (1765-1812 წწ.), შემდეგში სახელოვანი სარდალი, ბოროდინოს გმირი, და რევაზი (1778-1834 წწ.), რუსეთში რომანად გადანათლული. ჩვენი მიზანია მკითხველს გავაცნოთ რომან ბაგრატიონის ოჯახი, განსაკუთრებით კი მისი უფროსი ვაჟი პეტრე ბაგრატიონი, რომელმაც თავისი მეცნიერული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით ბრწყინვალე შარავანდედთან შემოსა ქართველი და რუსი ხალხების ისტორიის ერთი ფურცელი.

რომან ბაგრატიონი 1812-1814 წლების სამამულო ომის გმირული ბრძოლების ამტიერი მონაწილეა და ერთ-ერთი პირველთაგანი შედის პარიზში. ომში დამსახურებისათვის მას ენერალ-მაიორის წოდებას ანიჭებენ. ომის დამთავრების შემდეგ რომან ბაგრატიონი დაქორწინდა ეზოს მრჩველის სვიმონ ივანოვის ქალიშვილზე — ანაზე რომელთანაც ეყოლა სამი შვილი: პეტრე, ანა და იოანე. პეტრე რომანის-ძე ბაგრატიონი დაიბადა 1818 წლის 4 ოქტომბერს.

1827 წლის 14 აპრილს რომან ბაგრატიონი დაინიშნა ქართული ლაშქრის მეთაურად, ერთი წლის შემდეგ კი — თბილისის მაზრის გუბერნატორის თანაშემწედ.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე 9 წლის პეტრე მიაბარეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც ორი წლის შემდეგ, 1829-1830 სასწავლო წლიდან, „კეთილშობილთა გიმნაზიად“ გადაკეთდა.

თბილისში საცხოვრებლად ჩამოსულ რომან ბაგრატიონის ოჯახს ფართოდ გაუღია კარი როგორც ქართველი საზოგადოებისათვის, ისე რუსი ინტელიგენციისათვის. პეტრეს დედა, ანა ბაგრატიონისა, ერთობ მუსიკალური ქალი ყოფილა, თავის ბინაზე აწყობდა მუსიკალურ საღამოებს. ეს ოჯახი კიდევ იმით არის შესანიშნავი, რომ 1827 წლიდან აქ იმართებოდა პირველი წარმოდგენები სცენისმოყვარეთა ძალებით, ხოლო 1832 წლის 21 იანვარს წარმოდგენილ იქნა ა. გრიბოედოვის უკვდავი კომედია „ვაი ჭკუისაგან“. შემსრულებელთა შორის ოჯახის წევრებიც ერევნენ: ანას და (მისი სახელი დღემდე დაუდგენელია) სოფიოს როლს ასრულებდა, პეტრეს კი ლიზას როლი შეასრულა, რადგან ქართველმა ქალებმა ვერ გაბედეს რუსულ სპექტაკლში მონაწილეობის მიღება და სხვ.

1828 წლის სექტემბერში პ. ბაგრატიონი სწორედ იმ კლასში ჩაურიცხავთ, რომელშიც ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი სწავლობდა. პეტრე ნიკოლოზზე ათი თვით უმცროსი ყოფილა.

როგორც წყაროებით დასტურდება, მრავალ ამხანაგსა და მეგობარს შორის, ნიკოლოზი ყრმობის წლებში პეტრესთან ყველაზე ახლოს ყოფილა. ეს ნათლად ჩანს ერთი შესანიშნავი ეპიზოდიდან. ნ. ბარათაშვილი წერდა სატირებს (ლექსად), რომლებიც მთავრობის კრიტიკას შეიცავდა. აღნიშნული სატირები ფოსტით ეგზავნებოდა იმ დროის მაღალი თანამდებობის პირებს. ამან დიდი მოთქმა-მოთქმა გამოიწვია. მთავრობა საკმის კვლევას შეუდგა და ავტორსაც მიაგნო და გამაოგვილებელსაც — პეტრე ბაგრატიონს. მცირეწლოვანი 14-15 წლის დამნაშავეი თუმცა ციხეს გადარჩენ, მაგრამ სამაგიეროდ 25-25 როზგი მიესაჯათ. ეს პროცედურა უნდა ჩატარებინა ჯალათს დამნაშავეთა ოჯახებში მშობლებისა და ახლობლების თანდასწრებით. ნ. ბარათაშვილის ოჯახში ეს „საცირკო ატრაქციონი“ გადამეტებით ჩატარდა, რადგან ნიკოლოზის მამამ მელიტონ ბარათაშვილმა სახელმწიფო განაჩენს თავის მხრივ ცემა-ტყეპაც დაუმატა. რაც შეეხება განაჩენს პეტრეს მიმართ, იგი ვერ შესრულდა: სასჯელს აცდენის მიზნით 14 წლის პეტრე პეტერბურგში გაიპარეს. იქ მას დიდება ეგულებოდა, ანა ბაგრატიონ-გოლიცინისა. ანა ბაგრატიონის წყალობით 1833 წლიდან პეტრე უკვე სასხვადრო სასწავლებელშია. 1842 წელს 24 წლის პ. ბაგრატიონი მუშაობას იწყებს ფიზიკასა და ქიმიაში. თავიანთ შრომების ეფსპერიმენტულ ნაწილს იგი ასრულებდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის კაბინეტ-ლაბორატორიებში, რომლებსაც აკადემიკოსი ბ. იაკობი ხელმძღვანელობდა.

1843 წლის ნოემბერში მას აჯილდოებენ სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით „გალვანურ მეცადინეობაში წარმატებისათვის“. ოთხი თვის შემდეგ, 1844 წ. მარტის დასაწყისში, პ. ბაგრატიონის მიერ გალვანური ელექტროდენების საშუალებით ყინულისაგან განთავისუფლებულ იქნა კრონშტადტის ნავსადგური. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულების გამო, რაც წმინდა მეცნიერული გზით იქნა გადაწყვეტილი, იმავე წლის 9 მაისს პ. ბაგრატიონი კვლავ დაჯილდოეს.

იმავე წლის ოქტომბერში პ. ბაგრატიონი 6 თვით მიავლინეს გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში გალვანური დენების საინჟინრო საქმეში გამოყენების მეთოდების შესასწავლად. 1845 წლის 19 იანვრიდან პ. ბაგრატიონი დაინიშნა ნიკოლოზ I-ის სიძის, ჰერცოგ მაქსიმილიან ლეიხტენბერგის ადიუტანტად და მასთან ერთად ევროპაში 7 წელი დაჰყო. პ. ბაგრატიონის გავლენითა და რჩევით 1847 წელს ლეიხტენბერგი გალვანური წესით მოოქრისა და მოვერცხლის ფართოდ გამოყენების მიზნით პეტერბურგში აარსებს გალვანოპლასტიკურ ქარხანას.

1857 წელს პ. ბაგრატიონი გაიგზავნა ლეიბ-გვარდიის კავალერიის ესკადრონის ხელმძღვანელად. ერთი წლის შემდეგ მას ანიჭებენ გენერალ-მაიორის წოდებას და ნიშნავენ იმპერატორის კონვოის უფროსად. 1859 წელს პეტერბურგში პ. ბაგრატიონს შეხვდა გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი. ეს შემდეგნაირად მოხდა. 1859 წლის თებერვალში ა. წერეთელმა გიმნაზია მიატოვა და პეტერბურგში გაემგზავრა. მისი ძმა ილიკო იმხანად პეტერბურგში იმყოფებოდა და იმპერატორის კონვოიში მსახურობდა ოფიცრად. ილიკომ აკაკი თავის გენერალთან, პ. ბაგრატიონთან წაიყვანა. ბაგრატიონი მხიარულ გუნებაზე დასდგა სტუმრებს. მან ქართულად მოიკითხა აკაკი. აკაკის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, მას ეგონა, რომ ბაგრატიონმა მშობლიური ენა აღარ იცოდა. ბაგრატიონს აკაკის განცვიფრებაზე გაეცინა და უთხრა: „განა ქართველი აღარა ვგონივარ? დიდი ხანია რუსეთში ვარ და ცოტა დამავიწყდა, თორემ შენზე უკეთ ვიცოდი ქართული! შენ როგორც იმერელი უეჭველად იმერული კილოთი უკიდებ და მე კი წმინდა ქართული ვიცოდი“. ამ შეხვედრის დროს პ. ბაგრატიონმა ა. წერეთელს უამბო ატმოსფეროგრაფიის ნაწილი. „თბილისში, — უამბნოა მას, — საანწყალო სასწავლებელში ვსწავლობდი ტატო ბარათაშვილთან ერთად, პოეტი რომ იყო, და მისი ბრალიც იყო ჩემი რუსეთში წამოსვლა და კორპუსში გადასვლა: გამიგონია შაირებით დიდაქების ლანძღვა? აგვიყოლია ჩვენც, მისი მეგობრები: ის წერდა და ჩვენ ვეზიანებოდით: როცა ფოსტალიონი მოვიდოდა სოლმე ჩვენს სასწავლებელში, ჩვენ გარს შემოვიხვეოდით, უცებ ავუწევდით ჩანთას, სადაც წიგნები ელაგა, და ჩუმად ჩავუდებდით სოლმე ჩვენს გალეშილ წერილებს, ის რას მოიგიერებდა, რომ ნახავდა ჩანთაში წერილებს? მიაქენდა მისამართისამერ. ერთი აღიარა ტატომ, თბილისში! გამოძიებაც დაინიშნა. ბოლოს გაგვიგეს, დაგვიჭირეს და ბარათაშვილს ოცდახუთი როზგი მიანაჭეს ჰონორარად, ჩვენც იმდენივე გადაგვწყვიტეს, მაგრამ მე გავიქეცი, გამოვედი სასწავლებლიდან. კორპუსში გამომგზავნეს და მას აქეთ აქა ვარ სამსახურში“.

აკაკი ამის შემდეგაც რამდენჯერმე შეხვდა პ. ბაგრატიონს და ბოლოს მისი რჩევით სამხედრო სამსახურის ნაცვლად უნივერსიტეტში შევიდა.

1862 წლის სექტემბრიდან პ. ბაგრატიონი ტვერის გუბერნატორია. თავდაჭერილობის, ქუმანურობისა და იშვიათი ტაქტის მეოხებით იგი მოსახლეობის ყველა ფენამ შეიყვარა.

1865 წელს პ. ბაგრატიონის მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

1868 წლის 25 მარტს პ. ბაგრატიონი დაინიშნა ვილნოს გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ სამოქალაქო ნაწილში. ბაგრატიონი მომხრე იყო ჩრდილო-დასავლეთი მხარის ნებაყოფლობითი გარუსებისა და არ ეთანხმებოდა გენერალ-გუბერნატორს, რომელიც ქვეყნის რუსიფიკაციის მიზნით ძალას ხმარობდა.

1870 წლის 22 სექტემბრიდან პ. ბაგრატიონი ბალტიისპირა ქვეყნების (ლიფლანდიის, კურლანდიისა და ესტლანდიის) გენერალ-გუბერნატორია. ამ თანამდებობაზე მან 6 წელი დაჰყო. იგი მკაცრად იცავდა ამ მხარის კანონმდებლობას. ზრუნავდა სასაღსო სკოლებზე, სოფლის მოსახლეობაზე.

1876 წლის იანვრის პირველ რიცხვებში პ. ბაგრატიონი მივლინებით პეტერბურგში ჩავიდა და 17 იანვარს უეცრად გარდაიცვალა გულის ასთმით. იგი დაიკრძალა 20 იანვარს პეტერბურგშიეკ, მის საფლავზე განსაკუთრებული ეკლესია იქნა აგებული, მაგრამ 1942 წელს, ლენინგრადის დაბომბვის დროს, გერმანელთა ბომბებმა პ. ბაგრატიონის საფლავი სრულიად მოასწორა. მისი მიგნება მხოლოდ განსაკუთრებული გეგმის საშუალებით მოხდა. ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით მიმდინარეობს პ. ბაგრატიონის საფლავის აღდგენითი სამუშაოები იმ ვარაუდით, რომ საიუბილეო დღეებში იქნეს დამთავრებული.

პირველი მეცნიერული შრომა პ. ბაგრატიონმა 1843 წელს გამოაქვეყნა. ეს შრომა მის მიერ შექმნილ გალვანურ ელემენტს ეხებოდა. როგორც ირკვევა, ეს ელემენტი იმ დროს სწრაფად გავრცელდა და ხმარებაში შევიდა როგორც რუსეთში, ისე ევროპასა და ამერიკაში.

დიდი წინაპარი

ნო და გამავრცელებელსაც — პეტრე ბაგრატიონს. მცირეწლოვანი 14-15 წლის დამნაშავეი თუმცა ციხეს გადარჩენ, მაგრამ სამაგიეროდ 25-25 როზგი მიესაჯათ. ეს პროცედურა უნდა ჩატარებინა ჯალათს დამნაშავეთა ოჯახებში მშობლებისა და ახლობლების თანდასწრებით. ნ. ბარათაშვილის ოჯახში ეს „საცირკო ატრაქციონი“ გადამეტებით ჩატარდა, რადგან ნიკოლოზის მამამ მელიტონ ბარათაშვილმა სახელმწიფო განაჩენს თავის მხრივ ცემა-ტყეპაც დაუმატა. რაც შეეხება განაჩენს პეტრეს მიმართ, იგი ვერ შესრულდა: სასჯელს აცდენის მიზნით 14 წლის პეტრე პეტერბურგში გაიპარეს. იქ მას დიდება ეგულებოდა, ანა ბაგრატიონ-გოლიცინისა. ანა ბაგრატიონის წყალობით 1833 წლიდან პეტრე უკვე სასხვადრო სასწავლებელშია. 1842 წელს 24 წლის პ. ბაგრატიონი მუშაობას იწყებს ფიზიკასა და ქიმიაში. თავიანთ შრომების ეფსპერიმენტულ ნაწილს იგი ასრულებდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის კაბინეტ-ლაბორატორიებში, რომლებსაც აკადემიკოსი ბ. იაკობი ხელმძღვანელობდა.

1843 წლის ნოემბერში მას აჯილდოებენ სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით „გალვანურ მეცადინეობაში წარმატებისათვის“. ოთხი თვის შემდეგ, 1844 წ. მარტის დასაწყისში, პ. ბაგრატიონის მიერ გალვანური ელექტროდენების საშუალებით ყინულისაგან განთავისუფლებულ იქნა კრონშტადტის ნავსადგური. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულების გამო, რაც წმინდა მეცნიერული გზით იქნა გადაწყვეტილი, იმავე წლის 9 მაისს პ. ბაგრატიონი კვლავ დაჯილდოეს.

იმავე წლის ოქტომბერში პ. ბაგრატიონი 6 თვით მიავლინეს გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში გალვანური დენების საინჟინრო საქმეში გამოყენების მეთოდების შესასწავლად. 1845 წლის 19 იანვრიდან პ. ბაგრატიონი დაინიშნა ნიკოლოზ I-ის სიძის, ჰერცოგ მაქსიმილიან ლეიხტენბერგის ადიუტანტად და მასთან ერთად ევროპაში 7 წელი დაჰყო. პ. ბაგრატიონის გავლენითა და რჩევით 1847 წელს ლეიხტენბერგი გალვანური წესით მოოქრისა და მოვერცხლის ფართოდ გამოყენების მიზნით პეტერბურგში აარსებს გალვანოპლასტიკურ ქარხანას.

1857 წელს პ. ბაგრატიონი გაიგზავნა ლეიბ-გვარდიის კავალერიის ესკადრონის ხელმძღვანელად. ერთი წლის შემდეგ მას ანიჭებენ გენერალ-მაიორის წოდებას და ნიშნავენ იმპერატორის კონვოის უფროსად. 1859 წელს პეტერბურგში პ. ბაგრატიონს შეხვდა გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი. ეს შემდეგნაირად მოხდა. 1859 წლის თებერვალში ა. წერეთელმა გიმნაზია მიატოვა და პეტერბურგში გაემგზავრა. მისი ძმა ილიკო იმხანად პეტერბურგში იმყოფებოდა და იმპერატორის კონვოიში მსახურობდა ოფიცრად. ილიკომ აკაკი თავის გენერალთან, პ. ბაგრატიონთან წაიყვანა. ბაგრატიონი მხიარულ გუნებაზე დასდგა სტუმრებს. მან ქართულად მოიკითხა აკაკი. აკაკის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, მას ეგონა, რომ ბაგრატიონმა მშობლიური ენა აღარ იცოდა. ბაგრატიონს აკაკის განცვიფრებაზე გაეცინა და უთხრა: „განა ქართველი აღარა ვგონივარ? დიდი ხანია რუსეთში ვარ და ცოტა დამავიწყდა, თორემ შენზე უკეთ ვიცოდი ქართული! შენ როგორც იმერელი უეჭველად იმერული კილოთი უკიდებ და მე კი წმინდა ქართული ვიცოდი“. ამ შეხვედრის დროს პ. ბაგრატიონმა ა. წერეთელს უამბო ატმოსფეროგრაფიის ნაწილი. „თბილისში, — უამბნოა მას, — საანწყალო სასწავლებელში ვსწავლობდი ტატო ბარათაშვილთან ერთად, პოეტი რომ იყო, და მისი ბრალიც იყო ჩემი რუსეთში წამოსვლა და კორპუსში გადასვლა: გამიგონია შაირებით დიდაქების ლანძღვა? აგვიყოლია ჩვენც, მისი მეგობრები: ის წერდა და ჩვენ ვეზიანებოდით: როცა ფოსტალიონი მოვიდოდა სოლმე ჩვენს სასწავლებელში, ჩვენ გარს შემოვიხვეოდით, უცებ ავუწევდით ჩანთას, სადაც წიგნები ელაგა, და ჩუმად ჩავუდებდით სოლმე ჩვენს გალეშილ წერილებს, ის რას მოიგიერებდა, რომ ნახავდა ჩანთაში წერილებს? მიაქენდა მისამართისამერ. ერთი აღიარა ტატომ, თბილისში! გამოძიებაც დაინიშნა. ბოლოს გაგვიგეს, დაგვიჭირეს და ბარათაშვილს ოცდახუთი როზგი მიანაჭეს ჰონორარად, ჩვენც იმდენივე გადაგვწყვიტეს, მაგრამ მე გავიქეცი, გამოვედი სასწავლებლიდან. კორპუსში გამომგზავნეს და მას აქეთ აქა ვარ სამსახურში“.

აკაკი ამის შემდეგაც რამდენჯერმე შეხვდა პ. ბაგრატიონს და ბოლოს მისი რჩევით სამხედრო სამსახურის ნაცვლად უნივერსიტეტში შევიდა.

1862 წლის სექტემბრიდან პ. ბაგრატიონი ტვერის გუბერნატორია. თავდაჭერილობის, ქუმანურობისა და იშვიათი ტაქტის მეოხებით იგი მოსახლეობის ყველა ფენამ შეიყვარა.

1865 წელს პ. ბაგრატიონის მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

1868 წლის 25 მარტს პ. ბაგრატიონი დაინიშნა ვილნოს გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ სამოქალაქო ნაწილში. ბაგრატიონი მომხრე იყო ჩრდილო-დასავლეთი მხარის ნებაყოფლობითი გარუსებისა და არ ეთანხმებოდა გენერალ-გუბერნატორს, რომელიც ქვეყნის რუსიფიკაციის მიზნით ძალას ხმარობდა.

1870 წლის 22 სექტემბრიდან პ. ბაგრატიონი ბალტიისპირა ქვეყნების (ლიფლანდიის, კურლანდიისა და ესტლანდიის) გენერალ-გუბერნატორია. ამ თანამდებობაზე მან 6 წელი დაჰყო. იგი მკაცრად იცავდა ამ მხარის კანონმდებლობას. ზრუნავდა სასაღსო სკოლებზე, სოფლის მოსახლეობაზე.

1876 წლის იანვრის პირველ რიცხვებში პ. ბაგრატიონი მივლინებით პეტერბურგში ჩავიდა და 17 იანვარს უეცრად გარდაიცვალა გულის ასთმით. იგი დაიკრძალა 20 იანვარს პეტერბურგშიეკ, მის საფლავზე განსაკუთრებული ეკლესია იქნა აგებული, მაგრამ 1942 წელს, ლენინგრადის დაბომბვის დროს, გერმანელთა ბომბებმა პ. ბაგრატიონის საფლავი სრულიად მოასწორა. მისი მიგნება მხოლოდ განსაკუთრებული გეგმის საშუალებით მოხდა. ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით მიმდინარეობს პ. ბაგრატიონის საფლავის აღდგენითი სამუშაოები იმ ვარაუდით, რომ საიუბილეო დღეებში იქნეს დამთავრებული.

პირველი მეცნიერული შრომა პ. ბაგრატიონმა 1843 წელს გამოაქვეყნა. ეს შრომა მის მიერ შექმნილ გალვანურ ელემენტს ეხებოდა. როგორც ირკვევა, ეს ელემენტი იმ დროს სწრაფად გავრცელდა და ხმარებაში შევიდა როგორც რუსეთში, ისე ევროპასა და ამერიკაში.

ამ მსწრაფლ შეიჭრეს პ. ბაგრატიონის შრომების ღირებულება და უკვე 1887 წლიდან ევროპასა და ამერიკაში გამოცემული ლიტონრების დამუშავება პ. ბაგრატიონის მეთოდით წარმოდგა (და ამჟამადაც წარმოებს). კიდევ ხანი, და ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1894 წ. ბოლოს, ბაგრატიონის ცნობილი მეთოდი ოქროს მიღების შესახებ რუსეთში დაბრუნდა უკვე მაკ-არტურისა და ძმების ფორეტების სახელწოდებით.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია დღემდე არა ცდილა ამ სამარცხვინო მითვისების ფაქტის გამოაშკარავებას. ზუსტი მეცნიერებისა და ტექნიკის ჭეშმარიტი ისტორია კი ღაღადებს, რომ მაკ-არტურამდე და ძმებ ფორეტებამდე დიდი ხნით ადრე ქართველმა მეცნიერმა პეტრე რომანის-ძე ბაგრატიონმა შექმნა ამომწურავი შრომები ოქროს დამუშავების ციანური მეთოდის შესახებ. პირველად პ. ბაგრატიონმა გეიჩვენა ტეტრ ციანიდებში მეტალური ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის გახსნა პირველად მან აღნიშნა ის გარემოება, რომ გახსნის რეაქცია ჩქარდება იმ შემთხვევაში, თუ ხსნარი ჰაერს ეხება: პირველმა აღნიშნა ტემპერატურის როლი რეაქციის მსვლელობაში და პირველმა შენიშნა, რომ გახსნის სიჩქარე იზრდება იმ შემთხვევაში, როდესაც ლითონის ფარდობითი ზედაპირი იზრდება.

ბაგრატიონის ციანირების მეთოდმა ოქროსა და ვერცხლის ამდერმეტალურგიაში დიდი როლი შეასრულა. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი 80 წლის მანძილზე ოქროს მიღება უმთავრესად ციანირების მეთოდით წარმოებდა. ამასთან ამ მეთოდმა ხელი შეუწყო თანამედროვე მეტალურგიის განვითარებას.

რაც შეეხება ამერიკელ „ბამოგზონებლებს“, მათ კეთილი პირველობა არა მეთოდის შექმნაში, არამედ იმ მეთოდის წარმოებაში დანერგვაში, რაც მათ 1887-1890 წლებში გაკეთეს სამხრეთ აფრიკაში (ტრანსვალრენდში), ავსტრალიასა და თვით ამერიკაში. იქ მათ ააგეს პირველი ქარხნები, რომლებშიც ოქროს დამუშავება ბაგრატიონის მეთოდით წარმოებდა. „განა ეს თვით მეთოდის შექმნას ნიშნავს? ამგვარად, ზემოსსენებულმა ამერიკელებმა პირველად შექმნეს კეთილშობილი ლითონების მრეწველობა ციანირების მეთოდების გამოყენებით, რაც 45 წლით ადრე თეორიულადაც და ლაბორატორიულადაც პეტრე რომანის-ძე ბაგრატიონმა დაამუშავა.

პეტერბურგში ბაგრატიონი დაუსწლოდა განთქმულ მინერალოგს, პეტერბურგისა და უცხოეთის 11 აკადემიის წევრს ნ. კოკშაროვს. თავისი პირველი გამოკვლევაც კოკშაროვმა იმ მინერალის შესახებ დაწერა (1847 წელს), რომელიც პ. ბაგრატიონმა ურალზე ახმატის მადნიერების გეოლოგიური გათხრების დროს იპოვნა. იმ დროისათვის ბაგრატიონის მიერ ნაპოვნი მინერალი მსოფლიო მინერალოგთათვის ჯერ კიდევ უცნობი იყო. ეს მინერალი ორტერიტის ახალ სახეობას წარმოადგენდა. კოკშაროვმა მას „ბაგრატიონიტი“ უწოდა. ეს მინერალი კიდევ იმით არის შესანიშნავი, რომ მას რადიაქტიური თვისებები აღმოაჩნდა.

პეტრე ბაგრატიონის მთელი ცხოვრება ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქართველი და ეროვნულ-მუნე რუსი ხალხის მოწინავე ადამიანთა მეგობრობა ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში იკვანძებოდა.

ფ. თავაძე,
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ვ. პარკაძე,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ხვალ უნივერსიტეტში

28 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი აწყობენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის **პეტრე რომანის-ძე ბაგრატიონის** დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სამეცნიერო სესიას.

სესიას გახსნის აკადემიკოსი **ი. ვეკუა.**

პ. რ. ბაგრატიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სიტყვებითა და მოხსენებებით გამოვლენ პროფესორი **ვ. პარკაძე**, აკადემიკოსი **ბ. კედროვი**, სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ი. სტრაჯინი**, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ო. პავლოვა** და სხვ.



1843 წლის 15 სექტემბერს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა **პ. რ. ბაგრატიონის** ნაშრომი „ციანოვანი და რკინის ყვითელი მარილების, როგორც ლითონების გამხსნელ ნივთიერებათა თვისებების შესახებ“.

* * *

სურათზე: ამ შრომის ერთ-ერთი გვერდის ფოტოპირი.

მენდელეევი და ბაგრატიონი

როცა ჩვენი ამ ორი სამამულო ქიმიკოსის სახელებს ერთად ვახსენებთ, მაშინვე უნდა ვთქვათ, რომ მათს შორის არავითარი პირდაპირი კავშირი არ არსებობდა. პ. რ. ბაგრატიონმა თავისი ნაშრომები რომ გამოაქვეყნა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ციანირების მეტალურგიულ პროცესს (ეს ნაშრომები 1843 წელს გამოქვეყნდა). მენდელეევი მხოლოდ ცხრა წლისა იყო. ხოლო როცა მენდელეევმა პირველი სამეცნიერო ნათლობა მიიღო, შემდეგ კი თავისი შესანიშნავი აღმოჩენები განახორციელა, პ. რ. ბაგრატიონი უკვე ქმიას ჩამოსცილდა

მაგრამ, მიუხედავად, იმისა, რომ ორივემ, მენდელეევმაც და ბაგრატიონმაც, ცხოვრებაში სხვადასხვა გზით იარეს, მათ შორის რაღაც საერთოს მონახვა მაინც შეიძლება. ეს საერთო რამ გახლავთ ინტერესი ციანოვანი შენაერთებისადმი, რომლებმაც მომავალი კომპლექსური შენაერთების ქიმიის ნაწილი შეადგინეს.

„ქიმიის საფუძვლებში“, რომლის მეორე ნაწილი 1869-1870 წლების განმავლობაში იწერებოდა, არაფერია თქმული სპილენძის ციანოვან შენაერთებზე, მით უფრო სპილენძის ციანირების პროცესის შესახებ. სამაგიეროდ, კეთილშობილ ლითონებზე — ოქროსა და ვერცხლზე რამდენიმე სიტყვაა თქმული, მაგრამ მოუთითებელია, საიდან არის აღებული ეს ცნობები.

შემდეგ მოდის მენდელეევის ძალიან მნიშვნელოვანი (ჩვენთვის ამჟამად საინტერესო) მსჯელობა, რომელიც პირდაპირ ეხმაურება ბაგრატიონის ადმოჩენას: „ლითონური ვერცხლი პაერზე კალიუმის ყვითელი მარილის ხსნარში გახსნისას წარმოშობს ისევ იმ ორჯერადმარილს და კალიუმის ტუტეს...“ (დ. მენდელეევი. „ქიმიის საფუძვლები“, ნაწილი II, 1871 წ. გვ. 254). სწორედ ციანოვან კალიუმში ლითონების უშუალო გახსნაზე წერდა ბაგრატიონი, და სწორედ ეს გახლდათ მის მიერ გაკეთებული მნიშვნელოვანი აღმოჩენა.

აი აქ ჩანს ის საერთო მეცნიერული კავშირი, რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით. ბაგრატიონის სტატიაში — „ციანოვანი და რკინის ყვითელი მარილების, როგორც ლითონების გამხსნელი ნივთიერებათა თვისებების შესახებ“ (1843 წ.), მენდელეევის მიერ დაწერილ „ქიმიის საფუძვლებამდე“ 28 წლით ადრე, ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ლითონური ოქრო იხსნება ციანოვან კალიუმში ისე, რომ რიცხვი რეაქტივებისა, რომლებსაც ლითონთა მეფის გახსნა შეუძლიათ, უნდა ვზარდოთ. მანამდე ცნობილი იყო მხოლოდ ერთი ასეთი გამხსნელი ნივთიერება — თეზაფი. „ჩემი ცდები, — ამბობდა ბაგრატიონი, — ამფიქრებენებს, რომ ჩამოყალიბების პროცესში წყალბადციანმეავასაც აქვს ეს თვისება, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება დავამტკიცოთ, რომ ამიერიდან კალიუმის ციანოვანი მარილები უნდა მივაკუთვნოთ გამხსნელ ნივთიერებათა რიცხვს და ამ მარილების მონაწილეობით ჩატარებული ზუსტი ცდების დროს თავი უნდა შევიკავოთ ოქროსა და ვერცხლის ეურჭლის გამოყენებისაგან აორთქლების მომენტში“. ასეთი დასკვნა გააკეთა ბაგრატიონმა.

ალბათ მეცნიერს იმ დროს ვერც კი წარმოედგინა, რომ მის მიერ აღმოჩენილი მეთოდი ნახევარი საუკუნის შემდეგ, როცა თვითონ იგი ცოცხალი აღარ იქნებოდა, დიდ გამოყენებას ჰპოვებდა მეტალურგიულ პროცესში, ახლა ციანოვანი პროცესი რომ ჰქვია.

მენდელეევის შრომებში სულ უფრო მეტად არის წამოყენებული თეორიული საკითხები, რომლებიც კომპლექსური შენაერთების ქიმიას ეხება. სინამდვილეში ამ საკითხებზე მუშაობდა ბაგრატიონიც.

აკადემიკოსი ბ. კედროვი,
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.

პირველადმომჩენი

უკანასკნელ ხანს გაიზარდა მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიკოსთა ინტერესი პ. რ. ბაგრატიონის (1818-1876) პიროვნებისადმი. ბაგრატიონი პირველადმომჩენი იყო მადნებიდან ოქროსა და ვერცხლის მიღების ახალი წესისა ციანირების გზით. ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება რამდენადმე უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ამ მოღვაწის სიცოცხლის უკანასკნელი წლები, რომლებმაც რიგაში გაიარა. მოულოდნელად გამოირკვა, რომ ერთ-ერთი პირონერი ფერადი მეტალურგიის დარგში და ოსტპეის გუბერნიების (ბალტიისპირეთის მხარის) უკანასკნელი გენერალ-გუბერნატორი ერთი და იგივე პიროვნება ყოფილა. მართალია, პ. რ. ბაგრატიონის იხორება ისე მოეწყო, რომ რიგაში (1870-76 წ.წ.) და მანამდე ვილნიუსში (1868-1870 წ.წ) თავისი გენერალ-გუბერნატორობის დროისათვის იგი დიდი ხანია აღარ ეწეოდა მეცნიერულ-ტექნიკურ მოღვაწეობას, არამედ მაღალ სამსედრო და სამოქალაქო თანამდებობებზე იმყოფებოდა. მისი ცხოვრების აღნიშნული პერიოდი ინტერესს წარმოადგენს როგორც მისი სრული ბიოგრაფიის აღდგენისათვის, ისე რიგის პოლიტექნიკუმის განვითარების ისტორიისათვის.

რიგის პოლიტექნიკუმი, რომელიც 1862 წელს დაარსდა, როგორც ცნობილია, მეფის რუსეთის უძველესი პოლიტექნიკური უმაღლესი სკოლა იყო და რევოლუციამდელ დროში განსაკუთრებული როლი შეასრულა მთლიანად რუსეთისა და კერძოდ ბალტიისპირეთისა და პოლონეთისათვის მაღალკვალიფიციური მეცნიერულ-ტექნიკური კადრების მომზადებაში.

პ. ბაგრატიონის შუამდგომლობის მეოხებით რიგის პოლიტექნიკუ

თეატრი



ამბავი სიცილით მომღერლებისა

„ძველი ვოდევილები“ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე; დადგმული რეჟისორი ვასო გოძიაშვილი; მხატვარი — მამია მალაზონია; კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე.

ვასო გოძიაშვილი რუ ჩინებულზე ჩინებული მსახიობია, ამას რა დიდი ლარი და ხაზი უნდა. ნახავთ „ძველ ვოდევილებს“ მარჯანიშვილის თეატრში და, სიცილისაგან სულს რომ მოიბრუნებთ, იტყვით, დადგმაც ასეთი უნდა და რეჟისორობაც ამასა ჰქვიაო. ეს დაღოცვილი წარმოდგენა სწორედ სიცილის მადანია; რაც თეატრმა წლობით სიცილი დაგვაკლო, მიხვალთ და ასწორად შეიგსებთ.

ერთ-ერთმა მაყურებელმა მეც გამაგონა, სიცილი რა დარღუბოაა, რა ჭირად გვინდაო. თუ ჩემსას არ დაიჯერებს, რუსთაველის ლექსს გადახსენებ: ადამიანს „აშვენის მღერა და სიცილი“. თუ ამასაც არ დასჯერდება, გერცენის ნაუზრევიდან მოვაგონებ: „სიცილს რაღაც რევოლუციური ძალა აქვს. სიცილი ყველაზე მარჯვე იარაღია დასათრგუნვავად დრომოჭმულისა, თავმომწონე ნანგრევებად რომ წამოჭიმულა ახლის ხელშემშლელად და ჯაბანთა შესაშინებლად.“ თუ ჩემთან მოკამათე გაჭირვეულდება და ამაზეც ხელს ამიქნევს, ჩრნენშეკვსის წიგნსაც გადაკუნული და ამოიკითხოს: „სასაცილოსა და საზიზღარს რომ დავციინით, ამით ვებრძვით მას, მასზე მაღლა ვდგებით“. ალბათ მაშინაც მეტყვის, სიცილიც არის და სიცილიც, მუბუქი, გამრთობი, სალაღობო სიცილი ჩვენს თეატრს არ ეკადრებაო. სწორედ ამის პასუხად უთქვამს გორკის: „ბიზეერებაზე რომ სერიოზულად ილაპარაკო, ეს იმას ნიშნავს, რომ მასზე ყურადღება განამტკიცო... სოციალური ბიზეერება მსუბუქი, სატირიკული ფორმით უნდა ვაჩვენოთ, როგორც საზიზღარი და სასაცილო სიმახინჯე“. აკი მარქსმა გვასწავლა: „ცხოვრების დრომოჭმული ფორმის უკუგდებისას, ისტორია მრავალ ფაზას გადაივლის; მსოფლიო-ისტორიული ფორმის უკანასკნელი ფაზა კომედიაა. ეს მისთვის არის საჭირო, რომ კაცობრიობა მხიარული გუნებით შორდებოდეს თავის წარსულს“.

და მართლაც, გულდაჯერებით შეიძლება ვთქვათ, რომ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობთა კრებულს, მასს გოძიაშვილის მეთაურობით და რეჟისორობით შვენის მღერა და სიცილი. ხელოვნება ამ სიცილით მომღერლებისა მახვილ იარაღად არის აღმართული არცთუ ისეთი უმნიშვნელო ყოფითი და სოციალური „წვრილმანების“ (ეჭვიანობის, ბუტიაობის, სასამართლოს „ა ბ რ უ ნდის“) წინააღმდეგ. ვინ იტყვის, რომ ყოველივე ეს დრომოჭმულია და წარსულის გადმონაშთად შემორჩენილი, ხელშემშლელი, შემაფერხებელი არ არის ახლისა? სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება ხომ ფართო სარბაზულს უქმნის შემოქმედებითი ფორმების, სტილისა და ჟანრის მრავალფეროვნებას. ვოდევილიც, სიცილიც, სიმღერაც აუცილებელია ახლის დამკვიდრებისა თ ვ ი ს ბრძოლაში განმტკიცებისათვის. გავიხსენოთ, რომ ლენინი დიდად აფასებდა პარიზის მუშათა უბნებში კუპლეტების მომღერალ მონტმარეიუს ხელოვნებას, ხოლო ლუნაჩარსკი მოუწოდებდა ხელი შეეწყოთ მდიდარი, მრავალმხრივი, მუდმივ განვითარებადი საკუპლეტო რეპერტუარისათვის და გაეფრცელებინათ იგი რადიოს მძლავრი საშუალებებით.

მარჯანიშვილის თეატრს თითქოს დაბედებული აქვს დროდადრო მაინც გაგვასაროს, გაგვახალისოს სიცილიანი ანთებული წარმოდგენებით. ერთი შეხედვით ეს ძველი ვოდევილები მოულოდნელობათა ოროპტრიალია, უაფუძლოდ ატეხილი დავიდარაბა, ვაი-შველებელია ტყეიღუბრალოდ, მაგრამ ნამდვილად ეს გამოფიქრებაა ხალხური გონებამახვილობით ატყორცნილი ხუმრობისა, მწველ ნაკერკლებად ნაკვეხი ოხუნჯობისა, გამომწვევი წაცეკვებისა და სიცილით წკიპურტმიღერებისა.

დარბაზში ჭედვაა. მსახიობებს ტაშით ხვდებიან და ტაშით მიაცილებენ. სიცილი კი არა, სიცილის ქარიშხალია, მოდი და ნუ აპყვები მაყურებლების კისკის-ხარხარს... ლამის მთელი დარბაზი აცეკვდეს, ამდერდეს; მაყურებლები ერთობლივი ტაშით აცსოველებენ სპექტაკლის რიტმს. უმაღვე აიტაცებენ და სიხალისით აფერადებენ სცენიდან ნათქვამს. თითქოს სასწაულში მონაწილეობთ და სასწაულმოქმედად იქცევით. კელარ გაგირჩევია, მაყურებელი ხართ თუ წარმოდგენაში მონაწილე. თეატრში დღესასწაულია, დღეობაა, და თვითეული ჩვენგანი ანგარიშმუცემლად ვეძლევით ამ საერთო სიხარულს, სიცილით მომღერალ მსახიობებიც ფრთამესხმით ქმედობენ. აკი მათემატიკოსმა კონსტანტინე მარჯანიშვილმა ნახა თუ არა ეს სპექტაკლი, სიხარულით წარმოთქვა, ეს ნამდვილად მარჯანიშვილის თეატრია, მამაჩემის წარმოდგენაო.

ვოდევილი „ინბაზობა“ აკეკსენტი ცაგარელისა... მაგრამ არ იქნება ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ თვით ცაგარელზე. რა უმადურობას ვიჩენთ მის მიმართ! ქართული კომედიის ამ შესანიშნავ ოსტატს ლიტერატურის ისტორიამ კარი გამოუკეტა. დაივიწყეს ილიას შეფასება. ვერც იოსებ გრიშაშვილის გამოქომაგებამ, ვერც სხვათა ცდამ ვერაფერი გააწყო. სინამდვილეს კი მაინც თავისი გააქვს, სანთელ-საკმეველი თავის გზას არა ჰკარგავს: „ქეთო და კოტე“—ოპერაში, „ქეთო და კოტე“ კინოში; „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“ — დრამის თეატრში, მუსიკალურ კომედიაში და ეკრანზე; „ცისმბრეული“ და „ჭაუსა მჭირს“ თეატრალური ინსტიტუტის რეპერტუარში, „ხანუმა“ რუსთაველის თეატრში, „ოინბაზი“ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. ამ დღეებში თბილისში ჩამოსული გიორგი ტოვსტონოგოვი „ხანუმას“ რუსულ თარგმანს დაეძებდა, გადაუწყვეტია ლენინგრადის თეატრის სცენაზე დადგას... იქნებ მოწყალება მოიღოს მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიამ და საქვეყნოდ აღიარებულ დრამატურგს სავარძელი დაუდგას თუ ისტორიის შიგნით არა, მის კარებთან მაინც.

ავქ. ცაგარელის „„ოინბაზობა“, აკაკი წერეთლის „ბუტიაობა“ და ქ. ბახუტაშვილის „ძველ სასამართლოში“ ვასო გოძიაშვილს ერთ წარმოდგენად შეუკრავს, ერთ კომპოზიციურ ჩარჩოში მოუქცევია. ეს ჩარჩო ისე კარგად არის მისადაგებული ვოდევილის ჟანრთან და სამი სხვადასხვა შინაარსის ნაწარმოებთან, იმდენად არის მათი გამაერთიანებელი და თავისთავადი მნიშვნელობის მქონეც, რომ, თუ მეტი არა, ერთ გონებანაყენ ვოდევილად ესეც ღირს!

ამ კომპოზიციურ ჩარჩოს თავს ევლება და მთელ წარმოდგენას წინ უძღვის მოხუცი მსახიობი, რომელსაც თვით ვ. გოძიაშვილი განასახიერებს. ეს არის ცრემლნარევი სიცილით წარმოდგენილი განწოგადებული სახე უბან-უბან მოხეტიალე მუშათა თეატრის მსახიობთა მთელი თაობისა, რომელმაც გასული საუკუნის მე-90-იან წლებში ხალხში გაიტანა თეატრი, შეაყვარა ხალხს სასცენო ხელოვნება, ბორტყების მამხიულებელი სიმპარულის გამოხატვით აქცია მუშა და გლეხი თეატრს მოწყურებულ მაყურებლად. განა ეს შთამაგონებელი არ უნდა იყოს ჩვენი დრამატურგისათვის, რათა ხელი ჩასჭიდონ ამ კეთილშობილ თემას?!

ვასო გოძიაშვილი ამითაც არ კმაყოფილდება და ტრანსფორმაციის საოცარი ოსტატობის ჩვენებით ჯერ ნოქრის სახით ოინბაზობს პირველ ვოდევილში, შემდეგ „ძველ სასამართლოში“ მიკიტნის სახით მოგვევლინება და თარჯიმანობს. ეს სამივე როლი ჟანრისა და სტილის ისეთი მახვილი გრძნობით აქვს მსახიობს ამღერებული, თვითეულ სახეში ისე აზრიანად, მსუბუქად და ხალისიანად ქმედობს, იმდენად ბრწყინვალედ ფლობს სინთეზურ სცენურ ფორმას, ისე ბუნებრივი და მართალია, რომ მისი სიცილით მომღერლობა მთელი სკოლაა ამ ჟანრში დასწავლებისათვის.

ვასო გოძიაშვილმა, როგორც რეჟისორმა და ვოდევილის სახეთა სამაგალითოდ შემოქმედმა, გზა გაუხსნა ამ უძველესი ჟანრის წარმატებით დაუფლებისაკენ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობთა მთელ კრებულს: მარინე თბილელს, ელენე ყიფშიძეს, ეკატერინე ბერულავიშვილს, ნინო ჩხეიძეს, შოთა ქიჩორაძეს, დავით ქუთათელაძეს, ლადო ცხვარაიშვილს, გიორგი გელოვანს, პეთანდილ ვერულიშვილს, გიორგი ტატიშვილს; ამ ჟანრის საიდუმლოებას რეჟისორმა წარმატებით აზიარა ახალი თაობის მსახიობები: მანანა სიხარულიძე, ნინო გელრაშვილი, გოგენ ჭიკვაშვილი, ზაურ კვიტაიშვილი, ეკა ფირცხალაიშვილი, ელგუჯა თოფურია.

მარინე თბილელი კეკელას სახის შექმნით თავის აქტიორული შესაძლებლობის ახალ თვისებას ამჟღავნებს; იგი მკვეთრი დამახასიათებლობით, წკრიალა სიხალისით და განსახიერების დინამიკურობით სახელს იხვეჭს როგორც ვოდევილის შესანიშნავი შემოქმედი.

ელენე ყიფშიძე სილამაზით, მომხიბვლელობით, უზადო რიტმულობითა და მუსიკალობით სიცოცხლით და სიხალისით ავსებს სცენას. მისი სონა დაეჭვებულ ქმართან და მოახლეთან საუბარში ხელის და სახის მეტყველების ისეთ გამომსახველობას აღწევს, რაც სცენის გეშშარიტ ოსტატს შეაფერის. კუპლეტების შესრულებასა და ცეკვაშიც ჟანრის შესაბამისად ისახელა თავი.

არაჩვეულებრივი სახე შექმნა აკაკი წერეთლის ვოდევილში ეკატერინე ვერულიშვილმა. მისი მაკო, დახვეწილი გარეგნული სახეირგბით, კაცობოყვარული იუმორის გრძნობით და ფსიქოლოგიური სიზუსტით ამ სპექტაკლის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი მონაპოვარია.

შთამბეჭდავი, ეროტიკულობამდე აზიდული სოსრო სახე შექმნა და მით თავისი ნიჭიერებით და ურთულესი ფორმის დაუფლებაში დახელოვნებით გაგვახარა შოთა ქიჩორაძემ.

ლადო ცხვარაიშვილმა, რაც პირველ ვოდევილში დაგვაკლო, ის აგვინაზღაურა მესამეში—ივანე დარაჯის დამახასიათებლობის შთამბეჭდავი მოხაზვით.

ამბავი სიცილით მომღერლებისა ისე არ დამთავრდება, რომ კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიოთ კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე და კონცერტმეისტერი ეზმენია მოძიაშვილი. არჩილ კერესელიძემ, რომლის შემოქმედებით დიდად არის. დავალებული მარჯანიშვილის თეატრის სასცენო შემოქმედება, აჯერად სული ჩაუდგა ძველ ვოდევილებს, შესაფერი რიტმი მოუნახა მათ და შესძინა ის მღერადობა, რაც ასე აუცილებელია ამ ჟანრის ნაწარმოებთა წარმატებისათვის. მხატვარ მამია მალაზონიას დეკორაციული გაფორმებაც ისევე მსუბუქი და ხალისიანია, როგორც ვოდევილების მთელი სალამო.

ერთი სიტყვით, მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივი რთულ, უძნელეს სასცენო ჟანრს დაეუფლა, ძველი ვოდევილების გაცოცხლებით ხალხის საყვარელი სპექტაკლი შექმნა ქართული დრამატურგიის მემკვიდრეობიდან და კიდევ ერთხელ გვაჩვენა, თუ რაოდენ ფართო შესაძლებლობებია გამოუყენებელი რეჟორეკ შემოქმედებითი ფორმების, სტილისა და ჟანრების მრავალფეროვნების შექმნის მხრივ. ასე რეჟისორთა და მსახიობთა შემოქმედებითი დიალაპარაკონის გაფართოებისათვის.

დიმიტრი ჯანელიძე.

• • •

სურათებზე: ვასო გოძიაშვილი ძველი აქტიორის როლში; ვასო გოძიაშვილი და ელენე ყიფშიძე ავქ. ცაგარელის „ოინბაზობაში“; მარინე თბილელი კეკეს როლში („ძველ სასამართლოში“); სპექტაკლ „ძველი ვოდევილების“ ფინალური სცენა.

ფოტო დ. დავიდოვისა.



ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲡᲘᲗᲐᲑᲝ

გვიანი შემოდგომის დღეებია ჩვენს რესპუბლიკაში. ძირითადად თბილი, უნალექო ამინდი დგას. მხოლოდ ზოგჯერ დაუბერავს ცივი ქარი და მაღლარში აიფარფატებს გაყვითლებულ, გამხმარ ფოთლებს.

როგორც თბილისის ამინდის ბიუროს სინოპტიკოსებმა გვაცნობეს, გასულ კვირაში დასავლეთ საქართველოს ბარში დღისით იყო 15-20 გრადუსი სითბო, ღამით 3-8 გრადუსი. მთიან რაიონებში მაქსიმალური ტემპერატურა აღწევდა 3-8 გრადუსს, მინიმალური — ერთოთხ გრადუს ყინვას.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარსა და მთიან რაიონებში ტემპერატურა მერყეობდა 9-15 გრადუსის ფარგლებში, ღამით ბარში იყო 2-5 გრადუსი სითბო, მთაში — 2-7 გრადუსი ყინვა.

ყველაზე მაღალი ტემპერატურა აღინიშნა 14 ნოემბერს. ამ დღეს ქუთაისში იყო 21 გრადუსი სითბო, ზუგდიდში, ფოთში, გეგეჭკორში, სამტრედიაში, ანასეულში — 20, გაგრაში, სოხუმში — 16, ბათუმში — 18 გრადუსი.

ყველაზე დაბალი ტემპერატურა — 7 გრადუსი ყინვა ამავე დღეს იყო ახალქალაქსა და ბაკურიანში, 5 გრადუსი ყინვა აღინიშნა აბასთუმანში, 4 გრადუსი — მესტიაში.

მცირე ნალექი მოვიდა 19 ნოემბერს დღისით დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში. მესტიასა და ბაკურიანში კიდევაც წამოთოვა.

21 ნოემბერს კვლავ გამოიდარა.

როგორ ამინდს უნდა ველოდეთ მომდევნო ორი-სამი დღის განმავლობაში? უმეტესად მთელ საქართველოში მოსალოდნელია უნალექო, მზიანი ამინდი, ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ბარში იქნება 12-17 გრადუსი, ღამით 1-6 გრადუსი სითბო, მთაში მაქსიმალური 5-10 გრადუსი სითბო, მინიმალური ნული —2 გრადუსი ყინვა.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში იქნება დღისით 11-16 გრადუსი სითბო, ღამით 2 გრადუსი ყინვა—8 გრადუსი სითბო, მთაში—დღისით 3-8 გრადუსი სითბო, ღამით 2-7 გრადუსი ყინვა.

თბილისში მოსალოდნელია უნალექო ამინდი, სუსტი ქარი. დღისით 15-17 გრადუსი სითბო.



ᲘᲐᲙᲝᲑ ᲒᲝᲛᲒᲔᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ— Გ. Ნ. ᲯᲘᲑᲚᲐᲫᲔᲡ

საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია მიანიჭა საქართველოს სსრ შეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს. პროფესორ გიორგი ნიკოლოზის-ძე ჯიბლაძეს 1968 წელს ქართულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომისათვის — „ესთეტიკური აღზრდის პრინციპები“.

(საქდისი).

◆

ᲣᲨᲝᲜᲠᲝ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ

ᲯᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ 1969 წლის გამოფენაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთმა ფირმამ აჩვენა ტელეფონი, რომლის უურმილი აპარატთან ზონრით არ არის დაკავშირებული. იმ შენობის გარშემო, სადაც ასეთი ტელეფონი დაიდგმება, საჭიროა სადენი ჩაეწყონ. ეს „ინდუქციური მარყუჟი“ იჭერს თანამოსაუბრისაგან მოსულ სიგნალებს, აძლიერებს მათ და მოდულირებას ახდენს. ამის შედეგად შენობაში წარმოიშობა ელექტრომაგნიტური არე, რომელსაც იღებს ტელეფონის უურმილის ანტენა და შემდეგ გარდაქმნის მემბრანის ბგერათა რხევად. აპარატისათვის სიგნალების გადასაცემად უურმილში ჩადგმულია ფერიტის ანტენინი რადიოგადამცემი. ამასთან მისი წონა ჩვეულებრივი უურმილის წონას არ აღემატება. ახალი ტელეფონის ასეთი მოწყობილობა შესაძლებლობას აძლევს აბონენტს ლაპარაკობს დროს აპარატს მოშორდეს 20 მეტრამდე მანძილით.

ᲒᲝᲒᲔᲑᲐ ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ

საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტი სვერდლოვსკის „ურალმაში“ საკუთარ მოედანზე ტარტუს „კალევთან“ დამარცხების შემდეგ თბილისს ეწვია და გუშინ სპორტის სასახლეში მატჩი ჰქონდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან.

თბილისელთა სასტარტო ხუთეულში იყვნენ — გლურჯიძე, პულავსკი, ბიბოიშვილი, ჯუღელი, ჩხეიძე. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, მაგრამ მალე სტუდენტებმა წონასწორობა აღადგინეს, შემდეგ კი ინარჩუნებდნენ 2-3 ქულის უპირატესობას და მოიგეს ტაიმი 33:33.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე „ურალმაშმა“ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი დაწინაურდა 5-7 ქულით, თბილისელებმა შეძლეს ძალთა მობილიზება და მე-11 წუთზე ანგარიში გაათანაბრეს 41:41. ზუსტი ტყორცნებით გამოირჩეოდა ბიბოიშვილი, მსჯის საფინალო სასტვენის ხმამ გვამცნო თბილისელთა მორიგი გამარჯვება 71:64.

ამრიგად, თბილისის „ბურევესტნიკმა“ სტარტზე ორი შეხვედრა მოიგო ზედიზედ და ორი ქულა აქვს.

ᲝᲠᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲨᲘ დიდი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო მატჩმა კალათბურთში ეკონომისა და ეუგოსლავიის ვაჟთა ნაკრებ გუნდებს შორის. ეს შეხვედრა მიეძღვნა იუგოსლავიის კალათბურთის 50 წლისთავს.

თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა ეკონომის ნაკრების გამარჯვებით ანგარიშით 93:90.

ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲐ ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ

საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტი სვერდლოვსკის „ურალმაში“ საკუთარ მოედანზე ტარტუს „კალევთან“ დამარცხების შემდეგ თბილისს ეწვია და გუშინ სპორტის სასახლეში მატჩი ჰქონდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან.

თბილისელთა სასტარტო ხუთეულში იყვნენ — გლურჯიძე, პულავსკი, ბიბოიშვილი, ჯუღელი, ჩხეიძე. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, მაგრამ მალე სტუდენტებმა წონასწორობა აღადგინეს, შემდეგ კი ინარჩუნებდნენ 2-3 ქულის უპირატესობას და მოიგეს ტაიმი 33:33.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე „ურალმაშმა“ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი დაწინაურდა 5-7 ქულით, თბილისელებმა შეძლეს ძალთა მობილიზება და მე-11 წუთზე ანგარიში გაათანაბრეს 41:41. ზუსტი ტყორცნებით გამოირჩეოდა ბიბოიშვილი, მსჯის საფინალო სასტვენის ხმამ გვამცნო თბილისელთა მორიგი გამარჯვება 71:64.

ამრიგად, თბილისის „ბურევესტნიკმა“ სტარტზე ორი შეხვედრა მოიგო ზედიზედ და ორი ქულა აქვს.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში სტარტი აიღო მეოთხე ტრადიციულმა ტურნირმა ხელბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. ეს არის ძალთა შემოწმება მომავალ პასუხსაგებ ასპარეზობათა წინ. წლევანდელ ტურნირში გამოდიან — მსოფლიოს ჩემპიონი ჩეხოსლოვაკიის გუნდი, აგრეთვე სსრ კავშირის, მოსკოვის (ლიმპიური) და თბილისის ნაკრები გუნდები.

ჩეხოსლოვაკიელი ხელბურთელები ბრძოლაში დღეიდან ჩაებმებიან. გუშინ კი შედგა ერთი მატჩი სსრ კავშირისა და თბილისის ნაკრებთა შორის. ბრძოლა მიმზიდველი გამოდგა, წარმატება საბჭოთა ნაკრებს ხვდა 17:16.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ

ᲠᲝᲪᲐ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ...

გუშინდელი მატჩი კიევში ადგილობრივი და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი წინა შეხვედრა იყო. როგორც ცნობილია, ჩემპიონობისა და მომდევნო ორი საპრიზო ადგილის ბედი კარგა ხანია გადაწყდა. ამიტომ ამ ასპარეზობის შედეგს ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელ კიევისა და თბილისის დინამოელთათვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა და უფრო პრესტიჟის შეხვედრას წარმოადგენდა.

ორივე გუნდი, რომელთა შემადგენლობაშია სსრ კავშირის ნაკრების არაერთი ფეხბურთელი, გამოვიდა თითქმის თავისი ძირითადი შემადგენლობით. მატჩი ტემპიანი და მიმზიდველი გამოდგა, მეტოქეებმა აჩვენეს ინიციატივიანი ბრძოლა.

ანგარიში დასაწყისშივე კიევლებმა გახსნეს. გოლის ავტორი ბუზაჩი იყო. თბილისელებმა კონტრთამამით უპასუხეს და მეტოქის კარი არაერთხელ გადაურჩა ხიფათს. ჯერ ხურცილავას ძლიერი დარტყმა ძელმა იხსნა, შემდეგ კი ლ. ნოდიას ბურთი მოხსნა ბანიკოვმა. და მაინც 36-ე წუთზე თბილისელებმა აიღეს მეტოქის კარი. ასპთიანის ჩინებული მიწოდების შემდეგ თავური დარტყმით ბურთი გავაშელმა გაიტანა.

პირველი ტაიმის შედეგი იყო 1:1.

მეორე ნახევარი შეუპოვარი გამოდგა. კიეველთა ერთ-ერთ კარგ კომბინაციას 75-ე წუთზე მეორე გოლი მოჰყვა, მაგრამ 3 წუთის შემდეგ ასათიანმა წონასწორობა აღადგინა. მატჩი დამთავრდა ფრედ 2:2.

თამაშის შემდეგ გუნდების კაპიტნებმა ტურიანჩიკმა და მეტრეველმა ჩემპიონატის ალამი დაუშვეს.

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში იყვნენ: ჩლაიძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა (ჩლიადი), ჭოხონელიძე, პეტრიაშვილი, კუტიკაძე, ასათიანი, მეტრეველი, გაგაშელი, ლ. ნოდია.



ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲖᲔ

სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს ახალი, მეტად პასუხსაგები გამოცდა მოელის უეფა-ს ტურნირის შესარჩევ შეხვედრებში. პირველი ასეთი მატჩი გაიმართება 23 ნოემბერს თბილისში პოლონეთისა და ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდებს შორის, ხოლო ერთი კვირის შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელებს გორში პაექრობა ექნებათ რუმინელებთან.

ამ ასპარეზობას წინ უძღოდა ტრადიციული ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათმა გუნდმა.

ლიეჟში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩი ფეხბურთში მადრიდის „რეალისა“ და ლიეჟის „სტანდარდის“ საკლუბო გუნდებს შორის. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა. გაიმარჯვა „სტანდარდმ“.

საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩი ფეხბურთში ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორების კიევისა და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის გაიმართება 23 ნოემბერს თბილისში. მეტოქენი გამოვლენ ახალგაზრდული შემადგენლობით.

შანტასტიბურ შედეგს მიაღწია „შაგმა მარგალიტმა“, ან როგორც მას უწოდებენ ფეხბურთის მეფემ — პელემ. ბრაზილიის „სანტოსისა“ და „ვასკო და გამას“ გუნდების მატჩში მან გაიტანა თავისი მეათასე გოლი. პელეს გუნდმა — „სანტოსმა“ შეხვედრა მოიგო 2:1.

გუშინ სსრ კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკი“ საერთაშორისო შეხვედრების გასამართავად საზღვარგარეთ გაემგზავრა. პირველი მატჩი სპარტაკელებს ლიბანში. ექნებათ.

ბეიანა, 21 ნოემბერი. (საკდისი). **წარმატებითი იყო ტაშკენტის „პახტაკორის“ ფეხბურთელთა დებიუტი კუბაში. უზბეკმა სპორტსმენებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს კუბის ნაკრები.**



ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში სტარტი აიღო მეოთხე ტრადიციულმა ტურნირმა ხელბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. ეს არის ძალთა შემოწმება მომავალ პასუხსაგებ ასპარეზობათა წინ. წლევანდელ ტურნირში გამოდიან — მსოფლიოს ჩემპიონი ჩეხოსლოვაკიის გუნდი, აგრეთვე სსრ კავშირის, მოსკოვის (ლიმპიური) და თბილისის ნაკრები გუნდები.

ჩეხოსლოვაკიელი ხელბურთელები ბრძოლაში დღეიდან ჩაებმებიან. გუშინ კი შედგა ერთი მატჩი სსრ კავშირისა და თბილისის ნაკრებთა შორის. ბრძოლა მიმზიდველი გამოდგა, წარმატება საბჭოთა ნაკრებს ხვდა 17:16.

ᲞᲔᲚᲔᲡᲒᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲖᲔ

ნასკნელი მატჩი ფეხბურთში ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორების კიევისა და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის გაიმართება 23 ნოემბერს თბილისში. მეტოქენი გამოვლენ ახალგაზრდული შემადგენლობით.

შანტასტიბურ შედეგს მიაღწია „შაგმა მარგალიტმა“, ან როგორც მას უწოდებენ ფეხბურთის მეფემ — პელემ. ბრაზილიის „სანტოსისა“ და „ვასკო და გამას“ გუნდების მატჩში მან გაიტანა თავისი მეათასე გოლი. პელეს გუნდმა — „სანტოსმა“ შეხვედრა მოიგო 2:1.

გუშინ სსრ კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკი“ საერთაშორისო შეხვედრების გასამართავად საზღვარგარეთ გაემგზავრა. პირველი მატჩი სპარტაკელებს ლიბანში. ექნებათ.

ბეიანა, 21 ნოემბერი. (საკდისი). **წარმატებითი იყო ტაშკენტის „პახტაკორის“ ფეხბურთელთა დებიუტი კუბაში. უზბეკმა სპორტსმენებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს კუბის ნაკრები.**

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ